პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლიტერატურული საქართველო

1980 | 18 იანვარი, პარასკევი
№ 3 (2180)
გამოცემის 48-ე წელი

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის ორგანო
«ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО»
ОРГАН ПРАВЛЕНИЯ СОЮЗА СОВЕТСКИХ ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის

# მიმართვა

## საბჭოთა საქართველოს მუშებს, კოლმეურნეებს, სახალხო ინტელიგენციას, ყველა მშრომელს

ძვირფასო ამხანაგებო!

დადგა 1980 წელი — მეათე ხუთწლედის დამამთავრებელი წელი.

უკან დაგვრჩა იმ დაძაბული მუშაობის ოთხი წელი, რომელსაც ჩვენი დიადი სამშობლოს ყველა მშრომელი ეწევა სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ წინასწარდასახულობათა, ყრილობაზე შემუშავებული საბჭოთა სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის კურსის განსახორციელებლად. საბჭოეთის შესანიშნავ მიღწევებს არცთუ მცირე წვლილი შემატეს საქართველოს მშრომელებმაც.

თქვენი გარჯის მეოხებით, ძვირფასო ამხანაგებო, ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითადი მაჩვენებლები გასულ წელს გადაჭარბებით შესრულდა. მაგალითად, სამრეწველო წარმოების მოცულობა 1979 წლის მანძილზე 7,2 პროცენტით გაიზარდა, დავალების გადამეტებით გამოშვებულია 113 მილიონი მანეთის პროდუქცია. შრომის ნაყოფიერების ზრდის შედეგად მიღებულია მრეწველობის პროდუქციის მატების 82 პროცენტი, ხარისხისნიშნიანი ნაწარმის რაოდენობამ 2 ათასს გადაამეტა, ხოლო მისი ხვედრითი წილი პროდუქციის საერთო მოცულობაში 18 პროცენტს სჭარბობს.

თქვენი თავდადებული შრომის მეოხებით რესპუბლიკის ისტორიაში პირველად დამზადდა 454 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, 263 ათასი ტონა ციტრუსი, 577 ათასი ტონა მაღალხარისხოვანი ყურძენი, მნიშვნელოვანი წარმატებანია მიღწეული სოფლის მეურნეობის ბევრ წამყვან დარგში, მოპოვებულია გამარჯვება, რომელსაც მაღალი შეფასება მიეცა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მისასალმებელ წერილში.

წარმატებით ირჯებიან მეათე ხუთწლედში ჩვენი მშენებლები, რომლებმაც ხუთწლედის დამამთავრებელი წლის წინ გადასცეს საექსპლოატაციოდ სკოლები, სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებები, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები, საავადმყოფოები, აგრეთვე 6 მილიონ კვადრატულ მეტრზე მეტი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები, რის შედეგადაც 100 ათასმა ოჯახმა გაიუმჯობესა საბინაო პირობები. მარტო გასულ, 1979 წელს ამოქმედდა უნიკალური ენგურის ჰიდროელექტროსადგურის მეოთხე აგრეგატი, რუსთავის ქიმიური ქარხნის ახალი სიმძლავრენი, თბილისის მეტროპოლიტენის მეორე რიგი, გაყვანილია რიკოთის უღელტეხილის საავტომობილო გზა, საექსპლოატაციოდ გადაეცა საწარმოო, სოციალურ-კულტურული და საყოფაცხოვრებო დანიშნულების მთელი რიგი სხვა ობიექტები.

სწორედ თქვენი გარჯის წყალობაა, რომ განუხრელად მაღლდება ხალხის ცხოვრების დონე, რაც თავის განზოგადებულ გამოხატულებას პოულობს ერთ სულ მოსახლეზე რეალური შემოსავლის ზრდით, რომელიც ხუთწლედის ოთხი წლის მანძილზე გადიდდა 18,3 პროცენტით, ნაცვლად ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული 17,1 პროცენტისა.

ყველა ეს წარმატება მოწმობს მშრომელთა დიდ ენთუზიაზმს, მასების უდიდეს შრომით და პოლიტიკურ ალმავლობას, რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების აქტიურ ორგანიზატორულ მუშაობას.

სწორედ თქვენი შრომითი გამარჯვებები ყველაზე სრულად და მკაფიოდ გამოხატავს ჩვენი თანამედროვის, სოციალისტური სამშობლოს ჭეშმარიტი პატრიოტის საუკეთესო ნიშან-თვისებებს. და საქართველოს სს რესპუბლიკამ კომუნისტური მშენებლობის საქმეს სწორედ იმის მეოხებით შემატა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი წვლილი, რომ ასე ირჯებოდით თქვენ, მშრომელი ადამიანები, რომლებიც ჩვენი რესპუბლიკის დიდებისა და ავტორიტეტის განუხრელ ამაღლებაში ხედავთ თქვენსა და თქვენი შვილების ბედნიერებას.

დღეს ისტორიის კალენდარზე მეოცე საუკუნის ოთხმოციანი წლების დასაწყისია. კაცობრიობას დაუდგა საუკუნის ბოლოსწინა ათწლეული. ჩვენი ქვეყნისათვის 1980 წელი — ეს არის მეათე ხუთწლედის დამაგვირგვინებელი წელიწადიც და მეთერთმეტე ხუთწლედზე გადასვლის უაღრესად პასუხსაგები ეტაპიც, ეს არის ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავის ზეიმის წელიც და სკკპ XXVI ყრილობისათვის მზადების დაძაბული პერიოდიც. ეს კი ნიშნავს, რომ 1980 წელი ბევრი თვალსაზრისით უჩვეულო წელია, რომელიც აღსავსეა მრავალი თაოსნობითა და მიღწევით, ეს არის თითოეული ჩვენგანისათვის უაღრესად პასუხსაგები ხანა.

და დღეს ძალზე საჭიროა, რომ უკლებლივ ყველამ — რა საქმესაც უნდა ვემსახურებოდეთ — მატერიალურ წარმოებას, მეცნიერებას, განათლებას, კულტურას, რა სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი პოსტიც უნდა გვეკავოს, — უკლებლივ ყველამ ჩვენი მოვალეობის საწყაოდ მივიჩნიოთ მოქალაქეობრივი, პოლიტიკური პასუხისმგებლობა სამშობლოს წინაშე, საზოგადოებისა და ხალხის წინაშე, შევუჯეროთ ჩვენი პირადი დრო ქვეყნის დროებას, შევუსატყვისოთ ჩვენი ჩანაფიქრი და მისწრაფება საერთო-სახალხო ამოცანებს, საერთო-სახელმწიფო მიზნებს.

ხოლო ჩვენი უპირველესი ამოცანა ის გახლავთ, რომ არა მარტო უზრუნველვყოთ წლიური გეგმის შესრულება, არამედ წარმატებითაც დავამთავროთ მთელი ხუთწლედი. ამ ამოცანას, რომლის სირთულესაც საგანგებოდ აღვნიშნავთ, მხოლოდ იმ პირობით შევასრულებთ, თუ მაქსიმალურად გავაძლიერებთ წარმოების ტემპს ხუთწლედის წინა წლებთან შედარებით, ინტენსიურად გავაუმჯობესებთ პროდუქციის ხარისხს, მზრუნველად და გონივრულად ვხარჯავთ რესურსებს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ყველა მშრომელს, წარმოების მეთაურს, კომუნისტებს მოგიწოდებთ, მთელი ძალ-ღონე მოახმაროთ ამ ამოცანების გადაწყვეტას, და, ამასთანავე, განსაკუთრებით მიაპყრობს თქვენს ყურადღებას, ამხანაგებო, შემდეგს: რესპუბლიკამ უთუოდ უნდა მიაღწიოს მეათე ხუთწლედის მთავარ მაჩვენებელს, გაზარდოს მრეწველობის პროდუქციის მოცულობა 41 პროცენტით, 1980 წელს უნდა უზრუნველვყოთ მატება 8,4 პროცენტით, არსებული 6,8 პროცენტი საშუალო წლიური მატების ნაცვლად. დასახული ამოცანა სერიოზული და ძნელია, ვინაიდან მისი გადაწყვეტისათვის უნდა ვაწარმოოთ 150 მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია, რაც მოითხოვს გამოვავლინოთ მთელი არსებული შინაგანი რეზერვები და მოვახმაროთ ისინი მატერიალური რესურსების, საწარმოო სიმძლავრეების, სამუშაო დროის რაციონალურ გამოყენებას, მომარაგების ორგანიზაციას, ტრანსპორტის მუშაობას.

ვითვალისწინებთ რა მრეწველობაში საგეგმო დავალებათა გადაჭარბებით შესრულების მწვავე საჭიროებას, აუცილებელია 1980 წელს დავზოგოთ 1979 წლის შესაბამის მაჩვენებლებთან შედარებით: 23,9 ათასი ტონა შავი ლითონების ნაგლინი, 245 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია, 290 მეგაკალორია თბოენერგია, 34 ათასი ტონა ავტობენზინი, 10,7 ათასი ტონა დიზელის სათბობი, 88 ათასი კუბური მეტრი ხის მასალა, 40,8 ათასი ტონა ცემენტი.

ამის გამო თითოეულმა საწარმომ, სამშენებლო ორგანიზაციამ, კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ უნდა შეიმუშაოს და განახორციელოს ორგანიზაციულ და ტექნიკურ ღონისძიებათა კომპლექსი, რომლებიც უზრუნველყოფენ რესურსების დაზოგვის გათვალისწინებული პარამეტრების მიღწევას. ამიტომ ახლა განსაკუთრებით საჭიროა, რომ აწყობილად, ზუსტად მუშაობდეს სახალხო მეურნეობის ყველა ქვეგანაყოფი, მისი ყველა რგოლი — საწარმოები და გაერთიანებანი, კოლმეურნეობანი და საბჭოთა მეურნეობანი, ძალ-ღონისა და ენერგიის, ცოდნისა და გამოცდილების სრული უკუგებით ირჯებოდეს თითოეული მუშა, კოლმეურნე, ოსტატი, ბრიგადირი, ტექნიკოსი, ინჟინერი, სამეურნეო ხელმძღვანელი, ყოველი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული მუშაკი, თითოეული პარტიული ორგანიზაცია, ყოველი შრომითი კოლექტივი.

მოგმართავთ რა თქვენ, გმირი მუშათა კლასის წარმომადგენლებს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი გამოთქვამს მტკიცე რწმენას, რომ შრომის ყველა უბანზე თქვენ წელსაც მაღლა ატარებთ მუშური სინდისისა და პროფესიული ღირსების დროშას; რომ მატერიალურ ღირებულებათა შექმნისას ყოველი მუშა განიმსჭვალება საქმისადმი მზრუნველი დამოკიდებულებით, არ დაუშვებს მასალისა და ნედლეულის დანაკარგებს, გამოიჩენს მუშურ საზრიანობას, რათა გააუმჯობესოს პროდუქციის ხარისხი, გაზარდოს მისი საიმედობა და ხანგამძლეობა, მაქსიმალურად შეამციროს წუნი, აღკვეთოს ისეთი ნაწარმის გამოშვება, რომელიც სახელს უტეხს ჩვენს საწარმოებს; რომ სწორედ მუშათა კოლექტივები გამოვლენ შრომის, საგეგმო, საფინანსო დისციპლინის უფრო მაღალი დონისათვის ახალი მოძრაობის თაოსნებად, საიმედოდ გადაუკეტავენ გზას უყაირათობას და უდისციპლინობას.

თითოეული ხელმძღვანელის, ყოველი კომუნისტის, თითოეული მშრომელის ვალია გამოიჩინოს შეუწყნარებლობა და პრინციპულობა ამგვარი ფაქტებისადმი, ფხიზლად იდგეს საერთო-სახელმწიფო ინტერესების სადარაჯოზე, იყოს სახალხო დოვლათის შენარჩუნება-გამრავლების მებრძოლი.

რესპუბლიკაში ჯერ კიდევ მწვავედ დგას შრომითი რესურსების უფრო სრული და რაციონალური გამოყენების პრობლემა. ამ პრობლემას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, თუ გავითვალისწინებთ, რომ წელს საჭიროა უზრუნველვყოთ შრომის ნაყოფიერების მატება 6,6 პროცენტით, შრომის ნაყოფიერების ზრდის შედეგად მივიღოთ სამრეწველო წარმოების მატების 83 პროცენტზე მეტი.

რესპუბლიკას ამ მხრივ უდიდესი რეზერვები აქვს. სახალხო მეურნეობაში ჯერ კიდევ სათანადოდ არ გამოიყენება შრომის მეცნიერული ორგანიზაცია, არ არის საკმარისი საწარმოო პროცესების ავტომატიზაციისა და კომპლექსური მექანიზაციის დონე. ჯერ კიდევ ხშირია ადამიანთა ცუდი დატვირთვის შემთხვევები, განსაკუთრებით მთელ რიგ სასოფლო-სამეურნეო და სამშენებლო ორგანიზაციებში, გამოუყენებელი რჩება დიდძალი თავისუფალი შრომითი რესურსები.

საუკეთესო სახალხო-სამეურნეო შედეგების მიღწევა უდიდესწილად არის დამოკიდებული ჩვენს ტრანსპორტელებზე, მომარაგების, ვაჭრობის სფეროს, საყოფაცხოვრებო მომსახურების მუშაკებზე. მათ ფეხი უნდა აუწყონ ჩვენი ეკონომიკის გაზრდილ მოთხოვნებს, უზრუნველყონ მთელი სამეურნეო მექანიზმის რიტმული ფუნქციონირება, შეუქმნან შრომის ფრონტის ადამიანებს კარგი განწყობილება.

მოდით, ამხანაგებო, ერთად ვიზრუნოთ იმისათვის, რომ უკეთ მოვაგვაროთ შრომა ყოველ სამუშაო ადგილზე, საამქროში, საკონსტრუქტორო ბიუროში, მშენებლობაზე, ყანაში თუ ფერმაში.

მოგმართავთ რა თქვენ — სასიქადულო მიწათმოქმედებს, ბაღ-ვენახებისა და ყანების, ფერმების მშრომელებს, თქვენ — მიწის ჭეშმარიტ ბატონ-პატრონთ და მადლობას მოგახსენებთ გასული წლის ძნელ პირობებში ჩადენილი გმირობისათვის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს სწამს, რომ 1980 წლის ამოცანებს თქვენ, ამხანაგებო, ასევე პირნათლად გაართმევთ თავს, რომ შრომის ეფექტიანობის ზრდა, მთელ სამუშაოთა დროული და უდანაკარგო შესრულება, მაღალი ორგანიზებულობა და მზრუნველი, გულმოდგინე მუშაობა მიწას გახდის კიდევ უფრო მადლიანს მოსავალს — ზარაქიანს, ფერმებს — მომგებიანს. დაე, ისევე მგზნებარედ გებრძოლოთ მუქთახორების, მცონარების, გარესაშოვარს გადაყოლილ სარფისმოყვარულთა წინააღმდეგ, როგორც სიუხვისათვის იბრძვით, დაე, მიწა ეწოდეთ ფეხქვეშ იმათ, ვინც თავისი მომხვეჭელობითა და ანგარებით უხეშად თელავს მას, ვინც არცხვენს მხვნელ-მთესველის საამაყო სახელს. იმედია, თქვენ კვლავაც დაეყრდნობით სოფლის მეურნეობის ორგანიზაციასა და მართვაში შეძენილ მნიშვნელოვან დადებითს გამოცდილებას და ყველაფერს იღონებთ, რათა შრომითი რესურსების გამოყენების პრობლემა სოფლად მთლიანად გადაიჭრას, რათა კიდევ უფრო გაფართოვდეს და გაღრმავდეს მუშაობა სასოფლო-სამეურნეო წარმოების, კონცენტრაციისა და ინტეგრაციისათვის, რათა ყველა ქვეგანაყოფი ზუსტად და აწყობილად მოქმედებდეს.

ყველა მშრომელის წინაშე დასახული სახალხო-სამეურნეო ამოცანების გადაწყვეტის გზები მკაფიოდ არის განსაზღვრული სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებით, ამ პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის შესანიშნავი, ღრმაშინაარსიანი სიტყვით, რომელიც კომუნისტების, მთელი საბჭოთა ხალხის მეცადინეობას წარმართავს არსებულ ნაკლოვანებათა შემდგომი დაძლევისათვის, რეზერვების მაქსიმალური გამოყენებისათვის, მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლებისათვის.

თავისი წვლილი შეაქვს ამ საყოველთაო-სახალხო საქმეში ჩვენს სახალხო ინტელიგენციასაც. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მოგმართავთ თქვენ, მეცნიერებისა და ტექნიკის მუშაკებს, და მოგიწოდებთ კიდევ უფრო მეტად განამტკიცოთ მეცნიერებისა და წარმოების კავშირი, გაამდიდროთ თქვენი აღმოჩენებით წარმოების ინტენსიფიკაციის, ბუნებრივი რესურსების დაუფლების გზების პრაქტიკული ძიება, ამრავლოთ სახალხო მეურნეობების შესაძლებლობანი თვისებრივად ახალი მეცნიერულ-ტექნიკური გადაწყვეტებით. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი გამოთქვამს მტკიცე რწმენას, რომ 1980 წელს თქვენ ტექნიკური პროგრესისათვის ბრძოლის ავანგარდში იქნებით, შეიმუშავებთ და დანერგავთ ახალ ტექნიკას და შრომის მეცნიერულ ორგანიზაციას, შექმნით ყველაზე ხელშემწყობ პირობებს მაღალეფექტიანი მუშაობისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მიმართავს მხატვრულ ინტელიგენციას და გამოთქვამს იმედს, რომ თავიანთი ნაწარმოებებით ჩვენი მწერლები, თეატრისა და კინოს მოღვაწენი, შემოქმედებითი ინტელიგენციის ყველა რაზმის წარმომადგენლები, ისევე როგორც წინა წლებში, კვლავ დაიკავებენ თავიანთ პოზიციებს ხუთწლედის მოწინავე მიჯნაზე, მკაფიოდ და ღრმად ასახავენ სადაგი დღეების შრომითს ჰეროიკას, კონკრეტული ცხოვრებისეული მასალით გვიჩვენებენ საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის მაგალითებს, შთააგონებენ ჩვენს მშრომელებს ახალ მიღწევებს, ხელოვნების ძალის მეშვეობით კვლავაც სამარცხვინო ბოძზე გააკრავენ ყოველივეს, რაც ხელს გვიშლის ცხოვრებასა და მუშაობაში.

კომუნიზმის მშენებლებს დღითი დღე ემატება საუკეთესო რევოლუციური, საბრძოლო, შრომითი ტრადიციებით აღზრდილი ჩვენი სახელოვანი ახალგაზრდობა. როგორნი მივლენ ხვალ ქალიშვილები და ჭაბუკები სამეცნიერო ლაბორატორიებში, დაზგებთან, ტრაქტორის საჭესთან, ან როგორ აიღებენ კალამს, როგორ ავლენ კათედრებზე — ამას დღევანდელი დღე წყვეტს. ამიტომ დღეს, მივმართავთ რა ჩვენს ახალგაზრდობას, იმათ, ვინც ჯერ კიდევ სკოლის მერხს უზის, ვინც პროფესიას ეუფლება საწარმოო-ტექნიკურ სასწავლებლებში, ტექნიკუმებში, ან უმაღლეს განათლებას იღებს, მივმართავთ ჩვენს ღირსეულ ცვლას, იმათ, ვინც უნდა გამოსჭედოს მომავალი ხუთწლედების ლითონი, ხორცი შეასხას საზოგადოებისა და სახელმწიფოს ხვალინდელ გეგმებს, მოგმართავთ თქვენ, საქართველოს ორდენოსანი კომკავშირის წარმომადგენლებს იმის ღრმა რწმენით, რომ თქვენ, ისევე როგორც თქვენი მამა-პაპანი, შეიგნებთ ჩვენი გეგმების გრანდიოზულობას, განიმსჭვალებით მათი სიდიადით, შეუჯერებთ მათ თქვენს ცოდნას, თქვენს მზადყოფნას, თქვენს სახელს, რომელსაც, იმედი გვაქვს, არასოდეს გაიტეხთ. მაშ იყავით მუდამ მტკიცენი და შეურიგებელნი არაგულწრფელობის, ფორმალიზმის, გულგრილობის, ნიჰილიზმის, სხვისი მოიმედოობის ყოველგვარი გამოვლინებისადმი, იბრძოლეთ იმისათვის, რომ ყოველი თქვენგანი ყოფილიყოს თავისი დიადი სამშობლოს პატრიოტისა და მოქალაქის მაღალი წოდების ღირსი!

მაღალი მიზნები, დიდმნიშვნელოვანი ამოცანები განსაზღვრავს ახალ ეტაპზე ორგანიზატორულ, პოლიტიკურ, იდეოლოგიურ მუშაობასაც.

შრომითი კოლექტივების ბირთვმა — პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა გააძლიერონ გავლენა საწარმო-დაწესებულებათა საქმიანობის ყველა მხარეზე, ნიადაგ იზრუნონ ადამიანთა კომუნისტური აღზრდისათვის, ერთსულოვანი მუშაობისა და შემოქმედებითი ძიების ატმოსფეროს შექმნისათვის.

საქმის ინტერესები მოითხოვს, რომ პარტიულმა ორგანოებმა, სახალხო დეპუტატთა საბჭოებმა გააძლიერონ პარტიისა და მთავრობის დირექტივების შესრულების შემოწმება და ორგანიზაცია, დაამკვიდრონ ხელმძღვანელობის ლენინური სტილი, განავითარონ კრიტიკა და თვითკრიტიკა, როგორც ნაკლოვანებათა აღმოფხვრისა და კადრების აღზრდის ქმედითი საშუალება.

უდიდესი მამოძრავებელი ძალა აქ სოციალისტური შეჯიბრებაა. პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების უპირველესი მოვალეობაა ილვაწონ, რათა კიდევ უფრო ფართოდ გაჩაღდეს სოციალისტური შეჯიბრება, გაუმჯობესდეს მისი ორგანიზაცია და ქმედითობა.

მთელი ჩვენი გამოცდილება, ამხანაგებო, მოწმობს, რომ, რაც უფრო მაღლდება შრომითი და პოლიტიკური აქტიურობის დონე, შეგნებული დისციპლინა, რაც უფრო ძლიერდება თითოეული საბჭოთა ადამიანის იდეური მრწამსი, მით უფრო მეტ წარმატებებს ვაღწევთ სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში. აი რატომ არის, რომ სოციალისტური წარმოების ყველა უბანზე მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლებისათვის ბრძოლას პარტია ყველაზე მჭიდროდ უკავშირებს მშრომელთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდის სრულყოფას.

1980 წლის გეგმებისა და მაღალი სოციალისტური ვალდებულებების შესრულებისათვის ბრძოლაში ჩვენ უნდა ჩავაბაროთ კიდევ ერთი გამოცდა — იდეური და პოლიტიკური სიმწიფის გამოცდა. ვითარება მოითხოვს, რომ თითოეული მუშა, ყოველი კოლმეურნე, ინტელიგენციის თითოეული წარმომადგენელი, ყოველი მოქალაქე გახდეს პარტიის ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებისათვის შეგნებული მებრძოლი, სრულად გამოიჩინოს მთელი თავისი უნარი, თაოსნობა, ჩააქსოვოს სული და გული ამ საერთო-სახალხო საქმეს.

საქართველოს მშრომელებს, ისევე როგორც მთელ საბჭოთა ხალხს, რომლებიც ერთსულოვნად უჭერენ მხარს და იწონებენ კომუნისტური პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკას, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და მისი მეთაურის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მრავალმხრივ, მიზანდასახულ მოღვაწეობას, გადაწყვეტილი აქვთ ერთხელ კიდევ დაამტკიცონ, რომ მათი სიტყვა და საქმე ერთია. ამის საწინდარია მათი ერთგულება სამშობლოსადმი, პარტიისადმი, საბჭოთა ხალხის სახელოვანი რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი ტრადიციებისადმი.

ხუთწლედის დამამთავრებელი წლისა და მთლიანად მეათე ხუთწლედის გეგმები, ჩვენ ფრიად რთული და დაძაბული გვაქვს. მაგრამ ისინი ემყარება რეალურ გაანგარიშებებს, მოთხოვნილებების, რესურსებისა და შესაძლებლობების ზუსტ გათვალისწინებას. ახლა კი ჩვენ უნდა ვიმარჯვოთ, ყველას ფართო ასპარეზი გვაქვს მონიჭებული საიმისოდ, რომ საქმით ვუპასუხოთ პარტიის ზრუნვას მშრომელი კაცისათვის.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი გამოთქვამს მტკიცე რწმენას, რომ რესპუბლიკის მშრომელები, რომლებიც ამთავრებენ მეათე ხუთწლედს და მტკიცე საფუძველს უქმნიან მომავალ ხუთწლეულებს, მაღალ ორგანიზებულობასა და შეკავშირებას გამოიჩენენ და მთელ თავიანთ ძალ-ღონეს, ცოდნასა და უნარს მოახმარენ ახალ შესანიშნავ გამარჯვებათა მიღწევას კომუნისტური მშენებლობის ყველა უბანზე.



**საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი**



## გიორგი ლეონიძის საიუბილეოდ

შესრულდა საქართველოს სახალხო პოეტის გიორგი ლეონიძის დაბადების 80 წლისთავი. პოეტ-აკადემიკოსის საიუბილეო კომისიის დადგენილებით გიორგი ლეონიძის დაბადების 80 წლისთავი აღინიშნება მიმდინარე წლის მაისში.

## ქართული ლიტერატურის საბჭოს სხდომა

ამას წინათ მოსკოვში, საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის სახლის დიდ საქტო დარბაზში გაიმართა ქართული ლიტერატურის საბჭოს მორიგი სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ გრ. აბაშიძე, ქ. კალაძე, ი. ნონეშვილი, ჯ. ჩარკვიანი, გ. ასათიანი, მ. ქვლივიძე, ო. ჭილაძე, ხ. გაგუა, გ. გულია, ა. რეკემჩუკი, ი. გრინბერგი, ა. უვაროვი, ბ. ახმადულინა, ვ. მაჭავარიანი, ა. მარჩენკო, ნ. ივანოვა, ა. ებანოიძე, ა. აბუაშვილი, ე. ანანიაშვილი, ს. რასადინი.

საბჭოს სხდომა გახსნა მწერალმა ა. რეკემჩუკმა.

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ, სოციალისტური შრომის გმირმა გრიგოლ აბაშიძემ სიტყვაში, რომელიც სხდომაზე წარმოთქვა, უპირველესად გაიხსენა ის ღვაწლი და დამსახურება, რომელიც წლების მანძილზე ამ საბჭოს უცვლელ თავმჯდომარეს, აწ გარდაცვლილ ცნობილ რუს მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს კონსტანტინე სიმონოვს მიუძღვის ქართული მწერლობისადმი. გაიხსენა მწერლის გულთბილი, მეგობრული დამოკიდებულება ქართული მწერლობისა და ქართველი მეგობრებისადმი, აღნიშნა, რომ სიმონოვის პირადი თაოსნობით ბევრი საინტერესო ლიტერატურული საღამო და არაერთი ღონისძიება ეწყობოდა წლების მანძილზე, რომ იგი მუდამ მხარში ედგა ქართულ საბჭოთა ლიტერატურასა და მის მესვეურებს, როგორც ორი მოძმე ერის ლიტერატურების მეგობარი და გულშემატკივარი. შემდეგ გრიგოლ აბაშიძემ მოიგონა ბოლო სხდომა, რომელსაც კონსტანტინე სიმონოვი ხელმძღვანელობდა და აღნიშნა ის დიდი დანაკარგი, რომელსაც დღეს ყოველი დამსწრეთაგანი გრძნობს... მეგობრებმა ფეხზე ადგომით და წუთიერი დუმილით პატივი სცეს კონსტანტინე სიმონოვის ნათელ ხსოვნას...

საბჭოს სხდომაზე განიხილეს საკითხი: დღევანდელი ქართული პუბლიცისტიკის განვითარების საფეხურები. სხდომის მონაწილეებმა იმსჯელეს იმაზე, თუ რა გზით მიდის დღეისათვის ქართული პუბლიცისტიკა, რომელსაც მდიდარი ტრადიციები და მყარი ნიადაგი გააჩნდა წარსულში. თანამედროვე პუბლიცისტიკის საკითხებზე მოხსენება წაიკითხა კრიტიკოსმა ვლადიმერ მაჭავარიანმა.

როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, ბოლო წლების ქართული პროზის მნიშვნელოვან მოვლენად იქცა ოთარ ჭილაძის „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა". ამ რომანზე ჩვენს პრესაში დაიწერა რეცენზიები, მოეწყო რომანის საჯარო განხილვები და ყველგან, მკითხველმაც და კრიტიკამაც ერთხმად აღიარა რომანის მაღალი პროფესიული დონე, მწერლის დამსახურება თანამედროვე ქართული პროზის განვითარებაში. რომანი რუსულად თარგმნა ე. ანანიაშვილმა.

ოთარ ჭილაძის ამ რომანის შესახებ ქართული ლიტერატურის საბჭოზე საინტერესო საუბარი გაიმართა.

კამათში მონაწილეობა მიიღეს მწერლებმა და კრიტიკოსებმა ი. გრინბერგმა, ს. რასადინმა, ბ. ახმადულინამ, გ. ასათიანმა, ა. მარჩენკომ, ნ. ივანოვამ, ა. ებანოიძემ, ა. აბუაშვილმა, ა. უვაროვმა. მათ ერთსულოვნად აღნიშნეს, რომ ო. ჭილაძის ეს რომანი თანამედროვე ქართული პროზის მეტად საინტერესო შენაძენია. ილაპარაკეს რომანში პოეზიის როლზე, მდიდარ პრობლემატიკაზე, მწერლის ღრმა, ფსიქოლოგიურ წვდომაზე.

## რეცენზია

# საკუთარი ხმის ძიება

### ვახტანგ ხარჩილავა

სხვადასხვანაირია შემოქმედთა ბედი. ზოგი ერთბაშად იპოვის თავის ხმას, ზოგი კი დინჯად, ნაბიჯ-ნაბიჯ ეძებს და ჰპოვებს ხოლმე საკუთარ სამყაროს. ტაგუ მებურიშვილი ამ უკანასკნელთა რიცხვს მიეკუთვნება. ის წიგნიდან წიგნში, ლექსიდან ლექსში იზრდებოდა, თანდათან, აუჩქარებლად იკვეთებოდა მის შემოქმედებითი სახე, მისი პოეტური სამყაროს არეალი.

ტაგუ მებურიშვილის ლექსების ბოლო კრებულში — „თანდათან", — როგორც საერთოდ მის პოეზიაში, წინ წამოწეულია გრძნობა, მძაფრი განწყობილებები და ლირიკული წიაღსვლები. ის შეგნებულად არიდებს თავს რთულ კონსტრუქციებს და ისწრაფვის სათქმელის უბრალოდ, სადად გადმოცემისაკენ. მისი ლექსი უმეტესწილად ლაღია, ინტონაცია ძალდაუტანებელი და ამღერებული: „ოცი წლის შემდეგ, შემოსილი შუქთა მოვითა, ჩემი სიზმრების გაზაფხული ისევ მოვიდა. კი არ მოვიდა, სიყვარულის ფრთებით მოფრინდა ჩემი წარსულის დატირებულ წუთისოფლიდან".

მისი ლექსისთვის დამახასიათებელია აზრობრივი სიცხადე, კონკრეტულობა და სიზუსტე. პოეტი ტრადიციულ, კონვენციურ ლექსში ცდილობს გამოხატოს თავისი სათქმელი. უკვე ნაცნობ ინტონაციებში შეაქვს ახალი აკორდი, ახალ შინაარსობრივ დატვირთვას აძლევს ნაცნობ თემას.

ამ წიგნში შესული ლექსების უმრავლესობა პატრიოტული ლირიკის სფეროს განეკუთვნება. ძნელია აქ რაღაც ახალი თქვა, იმდენად ძირისძირამდეა დამუშავებული ეს თემა. მაგრამ ყველა თაობას ხომ თავისი წილი სათქმელი აქვს ქვეყნისა და ხალხის წინაშე. დროს თავად მოაქვს ახალი, მწვავე პრობლემები, რომლებიც მხატვრულ ხორცშესხმას ითხოვენ.

ჩვენი განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია ლირიკულმა პოემამ „ხოლო რომელი ცხოველ არს", რომელიც საქართველოს ისტორიის XVII საუკუნის ფონზე იშლება.

ორიგინალურადაა გადაწყვეტილი პოემის გარეგნული ფორმა. იგი ძველ, დაზიანებულ ხელნაწერს ჰგავს, რომელზეც ჟამთასვლას გადაუშლია სიტყვები, სტრიქონები. ავტორის ეს ლიტერატურული ხერხი — შექმნას სიძველის ილუზია, კარგ ეფექტს იძლევა.

პოემის პირველი ნაწილი მონოლოგებისაგან შედგება. XVII საუკუნიდან გადმოსული და პოემის სტრიქონებში გაცოცხლებული წინაპართა ლანდები გვიყვებიან დედასამშობლოს ბედილბალზე: „წამების ტვირთო, ისე მჩატი ხარ, გაფრინდა, სული დატოვა შიშმა. არ შეიძლება გავტყდი, გატეხვა ჩემი მამულის გატეხვას ნიშნავს"... „შენთვის სიკვდილის სიხარული უდიადესი მიაფრენს ჩემს სულს მარადიულ ზეცის ნათელში. გმადლობ, დუშმანთან რომ მამებ უხმლოდ, უფაროდ, ტანჯვის მირონში განბანვისთვის გმადლობ, უფალო!" („ქეთევან

[illegible]

შიშის ზარით ნუ შეშფოთდები, სანამ გასხია მშობლიური სიტყვის ფოთლები".

პოემა პროფესიულად მაღალ დონეზეა შესრულებული, იკითხება ძალდაუტანებლად და ამაღელვებლად.

მამულზე ფიქრს წარსულიდან თანამედროვეობაში გადმოვყავართ. ტაგუ მებურიშვილი თავს არიდებს შაბლონად ქცეულ ხოტბა-დიდებას მამულის სილამაზისადმი, ის უფრო დღევანდელობის მძაფრ პრობლემებზე წერს. „ო, სულთმობრძავნო ემაგ ხროტინით, ვიცი, რას მვედრით რას შემომტირით. ოცნებობთ, როდის დაიფარებით ქართული ვაზის ცისფერ პწკარებით. როდის შეუტკბობს ოჯახს ოჯახი ბუხრების კვამლის ცისფერ მოძახილს" („ნასოფლარები") „დამიდგეს თვალი, ხავსი ღეჭავს მორღვეულ ტაშირს მიწის კივილზე დავაბიჯებ და მბურძგლავს ტანში... ნაქალაქარი, საკუთარ შვილს, ვერა და ვერ მცნობს... აქეთ მოძალდი, საქართველოს სიცოცხლის ცეცხლო" („აქეთ მოძალდი").

კიდევ ბევრი ადგილის მოყვანა შეიძლებოდა ამ წიგნიდან, რომლებშიც კარგად ჩანს პოეტის მოქალაქეობრივი პოზიცია.

პოეტის ფიქრი თავის მშობლიურ კუთხე-გარემოზე მთლად საქართველოზე ფიქრიცაა, რამეთუ საქართველოს სწორედ მანდ, უბრალო გლეხკაცის კერიაზე უნთია უკვდავების ცეცხლი.

ბუნება მარტო მთა და მდინარე, ტყე და ბალახი არაა, ის ადამიანთა დიდი მასწავლებელი, მეგობარი და აღმზრდელია, და როდესაც ადამიანი შორდება მას, ის ამით ბევრ რამეს ჰკარგავს: „სიმშვიდე! მაგრამ არასდიდებით ქალაქის, მხოლოდ სოფლის მინდვრების — საღამოური, ცისმარეული... იმ ნაყანევის, იმ ანეულის. ხმაური, მაგრამ არ აქაური, ნედლი, მღერადი სოფლის ხმაური" („კვლავ, კვლავ გიზიდავს").

საერთო ესთეტიკური ღირებულების მინიჭება პირადად განცდილისა და ნახულისათვის მხატვრულ ზომიერებას და ტაქტს მოითხოვს შემოქმედისაგან, რათა ხელთ არ შეგვრჩეს კამერული, საალბომო პოეზია. ტაგუ მებურიშვილის ლირიკულ ლექსებში ზომიერების ეს სამანი დაცულია:

„ცუდად ვიცნობდი საკუთარ თავს, თქვენცა და სხვასაც... ამიტომ ბედნიერი ვიყავი მაშინ. მე თქვენ მიყვარდით, მაგრამ ჩემი თქვენდამი სიყვარული და ერთგულება უკანდაბრუნებულ ბარათებს ჰგავდა, რომელთაც თითქოს სწორი მისამართი არ ეწერა. სულის შებერვით რომელმა ქარმა ჩამიქრო თქვენი სათნოების შარავანდედი! ან რატომ გიხმობთ ისევ და ისევ ჩემი სული— რუხი ტრამალი — ოდესღაც თქვენი ნამოსახლარი?"

მთავრდება სიჭაბუკე. დგება ფიქრის, განსჯის ხანა, რომელსაც სინანულიც მოჰყვება ხოლმე ფუჭად გახარჯული დღეებისა და შეცდომების გამო, მაგრამ სიჭაბუკის შეცდომები ხომ ის ძვირფასი, დიდებული შეცდომებია, რომლებსაც სიბერეში ვერ ჩაი-

[illegible]

...ის ბალავარია, რომელზეც დაშენებულია ხალხის კულტურა და მისი ბედ-იღბალი. ეს ყოველთვის კარგად უწყოდა ქართველმა კაცმა, სწორედ ამიტომ: „ხეო უკვდავო, ხეთა შორის ხეო რჩეულო, ასგზის ნამეხო და უთვალავ დაღდაჩნეულო, მანამ გახმობის

[illegible]

ლზე, მისი ცხოვრების არსსა და დანიშნულებაზე.

ტაგუ მებურიშვილის შემოქმედებასთან გაცნობა გვარწმუნებს, რომ მის ავტორს თანამედროვე ქართულ პოეზიაში საკუთარი სათქმელი აქვს.

## სიტყვა ახალგაზრდა შემოქმედზე

# მაღალი აფრა და კეთილი ქარები

### დავით მჭედლური

[illegible]

...რების სხვადასხვა მხარე. შემთხვევით არ ამბობს პოეტი პირველსავე ლექსში: „მოსჩქეფს მუსიკა აბორგებულ ჩვენი სულების, ის მაშინაა მშვენიერი წმინდა და სუფთა, თუ სიკვდილამდე პოეზიით ვცოცხლობთ და ვსუნთქავთ, და განუწყვეტლივ მშობლიური გვტკივა წყლულები, მოსჩქეფს მუსიკა აბორგებულ ჩვენი სულების".

ენვერ ნიჟარაძის ახალი პოეტური კრებულის ლირიკული გმირი ეძიებს ყოველივე ღირებულს, საჭიროსა და საინტერესოს, რაც ჩვენი სულიერი ცხოვრების უკეთ მოწყობას ემსახურება, რაც მებრძოლი, ფხიზელი განწყობილებების დამკვიდრებას ისახავს მიზნად, ხოლო ყველაფერ ამას ერთ მიზანთან — სამშობლოსთან, მისთვის თავდადებული და თავგამეტებული სამსახურის გრძნობასთან მივყავართ. მივყავართ გარკვეულ და ნათელ პოზიციამდე, რომ დღევანდელ დღეს არ შეგვფერის „წარსულსა და მომავალს შორის ჩუმად სახლობა", რამეთუ ყოველივე, რაც წარსულს გააჩნდა საუკეთესო და სასარგებლო, ისიც დღევანდელობის კუთ-

[illegible]

მოვარჩევ — ლირიკულ და პუბლიცისტურ ნაკადზე მოგახსენებთ, პოეტი ლირიკოსია მაშინ, როცა ბავშვობის დღეების გახსენებას გვთავაზობს, გვესაუბრება ინტიმურ განცდებზე, ხატავს ბუნების პეიზაჟებს, ხოლო მეორე მხრივ საზოგადოებრივი პათოსით მღერი ინსტრუმენტის ხმა მოგვესმის, სადაც ყველაფერი ის, რაც ჩვენს გარშემო ხდება, მოქალაქეობრივი პოზიციიდან, ფართო და ზოგადი პერსპექტივიდან ფასდება, რადგან იგი დღევანდელობის პრობლემაა, რომლის გვერდის ავლა და უგულებელყოფა არავის ეპატიება და, მით უმეტეს პოეტს, შემოქმედს.

როცა ახალგაზრდა პოეტის შემოქმედებაში პუბლიცისტურ ნაკადზე ვსაუბრობ, ისეთი ლექსები მაქვს მხედველობაში, როგორიცაა „საქართველო", „ჰიმნი თავისუფლებას", „ასი ათასი ფერის ხავერდით...", „ბალადა ღამით ატირებულ ჭრიჭინებზე", „ჰამლეტი ჯინსით", „გახსენება", „მე არ მექნება ქვეყნად სხვა ხატი", ლირიკული პოემა „ავტობიოგრაფია" და სხვა.

ამ ლექსებში მოჩანს თანამედროვე პოეტი, რომლისთვისაც ყველაფერი თანამედროვე, თანამედროვეობის სოციალური თუ პოლიტიკური მოვლენები საინტერესო და მახლობელია, რომელიც არ ემიჯნება ვრცელ მასშტაბებს.

[illegible]

პუბლიცისტურ ლირიკაში ზოგმა სხვამაც ვერ დააღწია თავი ნაცნობი ჭეშმარიტებების გამეორებას, ეს ეტყობა არ არის ადვილი საქმე, თუმცა ენვერ ნიჟარაძეს ამგვარი საფრთხე არ უნდა ემუქრებოდეს, რადგან იგი ჯერხნობით ნათქვამს მხოლოდ თავის მთავარ სათქმელთან მიახლოებად თვლის: „ასი ათასი ფერის ხავერდით თუმცა კვლავ ლექსის ღელავს სათიბი, ისეთი რა ვთქვა, რომ ალავერდის თეთრი ყელივით იყოს ნატიფი, ისეთი რა ვთქვა, რომ მზედ აენთოს, მიესალბუნოს გულზე ყოველთა, რომ რაღაც მაინც ჰქონდეს საერთო გელათთან ანდა სვეტიცხოველთან".

ახალგაზრდობას მიმართავს პოეტი: „მეც აბა სხვისთვის სიმღერად რა მრჯის, ჩემი ჭუნირით და ჩემი ჩანგით, კვლავინდებურად ვიმღერებ შენთვის და ძველმოდური პოეტი ვჩანდე". ანდა „გზა მშვიდობისა ვისაც შორეულ ლურჯ სივრცეებში ფრენა გიზიდავთ, მე აქ დავრჩები, მე ვერსად წავალ მამა-პაპათა წმინდა მიწიდან, ვიცხოვრებ ჩუმად და ჩემი ხალხის არც ლხინს და არც ჭირს გვერდს არ ავუვლი და საქართველო იქნება ჩემთვის მარადიული დღესასწაული".

პოეტის ამ მიგნებით არის დამუხტული სხვა მრავალი ლექსიც, ეს მიგნება კი იმით განისაზღვრება, რომ სამშობლო არის დღესასწაულთა შორის უპირველესი მარადიული დღესასწაული და „ნეტავი იმას, ვინც ლექსიც თქვა და ვაზიც გასხლა და ვისი წყალიც საქართველოს წისქვილზე ასხამს" და რადგან პოეტი იმათ რიგში ირჩევს ყოფნას „ვინც წყალს საქართველოს წისქვილზე ასხამს", უფლება აქვს ბოლომდე მათთან დარჩეს: „ახლა წინ სულ სხვა გზებია და სხვაგვარი გზნებით უნდა შევკონოთ მზის სხივები და დავდგათ ძნები, ჩვენთვის კი არა ბალღებისთვის ჩვენივე ჯიშის, ანუ სანუკვარ მიწისათვის ვის მკერდზეც ვიშვით, ხოლო მამულის მომავალი დღეების ქარგა დიდებულია და უბრალოდ უფლება არ გვაქვს, არ ვიყოთ მასთან, ჩვენამდე კი ყოფილან სხვები და ცხელი სისხლი უნთხევიათ დიდგორს და კრწანისს".

ენვერ ნიჟარაძის ამ კრებულში წარმოდგენილი ლირიკული პოემა „ავტობიოგრაფია" თანამედროვე ახალგაზრდა კაცის სულიერი ბიოგრაფიის ასახვის ცდაა. იგი ეძებს დაუცხრომლად, ეძებს სიახლეს, ეძებს ჭეშმარიტებას, ეძებს იმას რაც უთუოდ უნდა არსებობდეს წარსულის დიდი ტრადიციების გვერდით და რომელსაც დიახაც უნდა გამორჩევა, მოძიება, სრულყოფა და გაგრძელება. რთული და მტკივნეულია ამგვარი ძიების პროცესი: „ორივე ხელით გვერდზე ვწევ ფარდას, შემოიხედე ჩემს სამყაროში და დაინახე საბურველს მიღმა რა ტკივილებს და რა ფიქრებს ვმალავ, რა მიხარია ან რა მაწუხებს, რატომ ვიცინი ან რატომ ვტირი, შენ ყველაფერი უნდა იცოდე, შენ ძმა ხარ ჩემი, მოყვასი ჩემი, შენ ყველაფერი უნდა იცოდე, ისიც კი, რაც მე ვერ გამიგია, რომ არ დავშორდეთ გზაში ერთმანეთს, ჩვენ ხომ ერთ მხარეს მივდივართ ყველა".

ეს, ვფიქრობ განცდაა იმ ტვირთისა, რაც მხატვრულ შემოქმედებასა თუ სხვა რამ საქმეზე დამდგარ თაობას აღელვებს და მთავარი ალბათ მაინც ამ ტვირთის საკუთარ მხრებზე შეგრძნებაა, ხოლო შემდგომ მისი ღირსეული ტარება, რადგან პოეტის როგორც სულიერი, ასევე ხორციელი ბიოგრაფია გადიოდა იმ მნიშვნელოვან ნიშანსვეტებთან, რაც წილად ერგო ჩვენი დღეების ახალგაზრდობას, ეს გზა დიდი ომის ქარტეხილების შემდგომ დაიწყო, მაგრამ ამით კი არ გაითლიდა, იმავ სულიერი და ხორციელი წრთობის გზად დარჩა.

გაჭირდება იმის დამტკიცება, რომ ენვერ ნიჟარაძის ეს ჯერჯერობით ერთადერთი გამოქვეყნებული ლირიკული პოემა მხატვრულად უნაკლო ნაწარმოები იყოს, მაგრამ იგი საყურადღებოა თავისი თემატიკური მრავალფეროვნებითა და მასშტაბურობით.

ენვერ ნიჟარაძის ლირიკული ციკლის ლექსებში სწორედ ემოცია და სტრიქონის შინაგანი ენერგია იქცევს ყურადღებას, იზიდავს მკითხველს, რადგან აქ მკვეთრად იგრძნობა ქართული პოეზიის დიდი ტრადიციების კეთილისმყოფელი გავლენა. „დიდი ხნის წინათ ჩვენთვისაც თოვდა და ცას ფიფქების ებურა რიდე, ის თოვლი თავის წილ სითბოს გთხოვდა და სამწუხაროდ მოჰქონდა კიდეც, გადმოაბიჯა სიცივემ პარმაღს და შეგვაჩვია დუმილს და ლოდინს, დრომ კი ისე ვით მშიერმა ხარმა გადიბალახა მინდორი ყრმობის".

არის მოგონებები, რომელთაც ვერასოდეს მოვიცილებთ, არის ტკივილი და სიხარული, რომელიც მარად თან გვდევს და იმ ადგილებსა თუ ადამიანებს შეგვახსენებს, რომლებთანაც ბევრი რამ საერთო გვქონდა, რომლებთანაც ჩვენი ცხოვრების ძვირფასი წუთებია დაკავშირებული. უმეტესად ისინი „ბავშვობის ქალაქები" და მათი მკვიდრნია, და ეს ყოველივე სანატრელი და სევდით მოსაგონარია შემდგომ, სიჭაბუკისა და მოწიფულობის ჟამს. „დაქანცულს მთელი დღის საზრუნავით, სირბილით, საქმით და ლაპარაკით, ღამით ხანდახან ისევ მეძახის ჩემი ბავშვობის ტკბილი ქალაქი, გაბრწყინებული მზის კელაპტრებით, დგას მშვენიერი, როგორც ზღაპარი, ჩემი ფიქრების და იმედების ის ერთადერთი თავშესაფარი, დროო მსრბოლავო, დროო, უწყალოვ, არ დამინგრიო ის [illegible], რადგან ჩემს [illegible] და ჩემს სიწმინდეს კვლავ ინახავენ მისი კედლები!"

ენვერ ნიჟარაძეს გულითადი ლექსი აქვს მიძღვნილი უდროოდ დაღუპული ახალგაზრდა პროზაიკოსის ჯემალ თოფურიძის ხსოვნისადმი. ეს სტრიქონები იმ საერთო გულისტკივილის გამოხატვაა, რასაც [illegible] მეგობართა თუ თანამოკალმეთა შორის, ამიტომ, ამ ლექსის მძაფრი ინტონაცია შინაგანი ტკივილით არის დამუხტული: „დიოსკურია — სამყარო იძრა, და ზღვამ ქალაქი. შთანთქა ბღავილით, მე მეგობარი ვიხილე სიზმრად, შუბლზე ეხატა სისხლის ყვავილი".

ორიოდ სიტყვა ენვერ ნიჟარაძის ლექსების ფორმაზეც მინდა ვთქვა, რადგან ეს საკითხი დღეს ლამის პრინციპულ მნიშვნელობას იძენს, იმ ექსპერიმენტების ფონზე, რასაც პოეტთა ახალგაზრდა თაობა აწარმოებს.

ამ წიგნის კითხვისას ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ პოეტი არ ადგას რაიმე განსაზღვრულ პოზიციას, სათქმელს იმ ფორმით გაწვდის, რომელიც უფრო ტევადად მიაჩნია აზრის გამოხატვისათვის.

იმის დასტურად, რომ პოეტი ტრადიციული ფორმების კვალდაკვალ ვერლიბრის ტექნიკასაც კარგად ფლობს, მცირე ნაწყვეტს მოვიტან ლექსიდან „ნიჟარა": „ტალღები ნაპირს აწყდებიან — თეთრი. ცხენების ველური რემა მირბის მინდორზე, ვწევარ გულაღმა სილის ცხელ ბორცვზე და აგვისტოს მზე შიშველ მკერდზე ბრინჯაოს მაღვრის, ნელა ივსება ოქროსფერი სიმშვიდით სული".

ლიტერატურული პროცესი ერთიანია, მასში ყველას თავისი წვლილი შეაქვს და ყველას თავისი ადგილი უნდა ეკავოს. ენვერ ნიჟარაძის ახალი წიგნი „მაღალი აფრა" თემატურად და ჟანრობრივად მრავალფეროვანი და საყურადღებოა. „მაღალი აფრა" სიმბოლური სახელია და მას ალბათ ის კეთილი ქარები ამოძრავებენ, რასაც პოეზიაში ნიჭი და მხატვრული ჭვრეტის უნარი ჰქვია, ჩვენც, ენვერ ნიჟარაძის წიგნის მკითხველთან ერთად, ვისურვებდით, უფრო მძლავრად და დიდ ხანს უქროლოს ამ კეთილ ქარებს.

# კოშკში შემოაქვს მზე თითო მუჭა

### ნია აბესაძე

პოეტის პირველ წიგნს ყოველთვის განსაკუთრებული ყურადღებითა და მღელვარებით კითხულობენ. ხშირად ამ პირველ შეხვედრაზეა დამოკიდებული, როგორ განეწყობიან ავტორის მიმართ მომავალში, მიიჩნევენ თუ არა მას ახლობლად და მკვიდრად. ესმა ონიანის ლექსების კრებულთან შეხვედრის სიხარულს კი მკითხველთა იმედიანი მოლოდინიც ამძაფრებდა, რადგან ამ პოეტს რამდენიმე წლით ადრე „ლიტერატურული საქართველოს" ფურცლებზე გავეცანით და მეხსიერებაში ჩაგვრჩა მისი ომახიანი ინტონაცია, ხატოვანი აზროვნება, დახვეწილი ბგერწერა.

გასულ წელს გამომცემლობა „მერანმა" ცალკე წიგნად გამოაქვეყნა ესმა ონიანის ერთად თავმოყრილი ლექსები. მკითხველთა წინაშე წარმოდგა პოეტი ქალის თვითმყოფადი შინაგანი სამყარო და ნათელი ხილვები.

ესმა ონიანის სტრიქონებში სვანეთის სუნთქვა იგრძნობა, მაგრამ მის მიერ დახატული სვანეთი ყალბი ეგზოტიკით შელამაზებული არ არის. აქ ლაპარაკობენ სვანები, მიწაზე რომ მტკიცედ „დგანან ფეხებგამდგარნი" და მზისკენ მიუპყრიათ გარუჯული სახეები. ისინი ქვებიდან და კლდეებიდან ამოზიდულან, თავადაც ქვებს ჰგვანან, მაგრამ მზე მარად რჩება მათი ოცნებისა და მისწრაფების საგნად. ეს ბუნებრივიცაა: განა მათი შექმნილი არ არის მზის უზენაესი ჰიმნი — „ლილე"?!.

კრებულის პირველივე ლექსი — „სვანების სიმღერა მზეზე" სწორედ ამ დიდებულ ჰიმნს ეხმაურება, ოღონდ საინტერესო ისაა, რომ აქ მზეს სათითაოდ მიმართავს რამდენიმე ლირიკული გმირი. სვანური ხალხური სიმღერების მსგავსად, ამ ლექსის ინტონაციაც თანდათან აღმავალია. იგი აპოთეოზს აღწევს ბოლო ტაეპებში, რომლებსაც უკვე ქორო წარმოთქვამს. ჩამოღვენთილი მზით ავსებული ქუდები მოაქვთ შინ სვანებს და ამაყად აცხადებენ: „ჩვენ-ჩვენს კოშკში შემოგვაქვს მზე თითო მუჭა".

რამდენი რამ თქმულა თითო მუჭა მიწის შესახებ, რომელიც თან დააქვთ მეომრებს თუ მათ ჭირისუფლებს, მაგრამ „თითო მუჭა მზე" ჩვენში პირველად ითქვა და საგულისხმოა, რომ ეს სიტყვები სწორედ იქაურ პოეტ ქალს ეკუთვნის.

სვანეთის ვაჟკაცური სული ძირითად ლაიტმოტივად წარმოგვიდგება სხვა ლექსებშიც. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა „ლემ" — ლომის გამომსახველი სვანური დროშა. დროშამ რომ ლომის სახე მიიღოს, მუდამ მოძრაობაში უნდა იყოს და ქარიშხალს შეერკინოს. უძრაობა სიკვდილის ტოლფასია, ხოლო ლომის ქარით ავსება სიცოცხლეა. ბუნებრივად ჩნდება პარალელი სხვა მოვლენებთან, როდესაც ავსება ასევე სიცოცხლის სიმბოლოდ გვევლინება: „ლომი ქარში აივსება, ცაზე მთვარე აივსება, მკერდი თეთრად აივსება, ჩემი გული უსასრულო სიყვარულით აივსება".

მთვარის ავსება წარმართული დღესასწაულია, სვანების მიერ ოდითგანვე პატივსაცემი და ამიტომაა, რომ ესმა ონიანი ოდენ სვანურად ხედავს მიმართოს მთვარეს: „ო, დოშდულ, დოშდულ! ეშვებიან თეთრი გზები მთებზე შუქივით. მეხლება შენი თმების აფრა უძველეს ქროლვით, გაბმით მოაღწევს მდინარის ხმა, შორი ზხუილით პირდაღრენილი ლემის ქარზე ავსებას მოჰგავს".

რაც უნდა მოხდეს, მთვარე მაინც ერთიანი და დაუყოფელი უნდა იყოს მუდამ: „შენს დიდ მთლიანობას ნუ ვნახავთ გაბნეულს, ათასად დაყოფილ შენს თეთრ და მრავალ სხეულს" — დასძენს პოეტი.

ესმა ონიანის ლექსებში თვალნათლივ წარმოგვიდგება სვანეთი — მხარე „გაულუნარი ძალის" მქონე ვაჟკაცებისა, რომლებიც ნადირობენ და შრომობენ, აშენებენ „მაღალ კოშკებს, თითქოს ხილულ ცოცხალ ლოცვებს", აღნობენ ოქროს და ჭედენ მოწკრიალე ფირფიტებს, რათა ყოველგვარ საქმიანობაში ტვიანთი უშრეტი სულიერი ძალა გამოავლინონ. სვანურ მოტივებზე არის აგებული აგრეთვე ციკლი „ხალხურიდან", სადაც ავტორი ფოლკლორული ნიმუშებისადმი ორგვარ მიდგომას ავლენს: „დალი კლდეში მშობიარობს" წარმოადგენს სვანური სიმღერის „დალე კოჯარს ხელღვაჟალე" ლიტერატურულად დამუშავებულ თარგმანს. ამისგან განსხვავებით, ლექსში „ბერი ნაგჭურ" ნაგულისხმევია, რომ მკითხველი უკვე იცნობს ხალხურ პირველწყაროს — გადმოცემას იმის შესახებ, თუ როგორ დაუხოცა ქალიშვილები ოთარ დადეშქელიანს სისხლის ასაღებად მისულმა ბერმა ნაგჭურმა. ესმა ონიანი გვთავაზობს ბერი ნაგჭურის მონოლოგს მას შემდეგ, რაც ეს ამბავი უკვე მოხდა, არსებითად აქ წარმოდგენილია მოვლენის ავტორისეული ინტერპრეტაცია.

ამავე პრინციპზეა აგებული „გარდუვალი სიყვარული ქალების წყევლით", ოღონდ ამ ლექსში კიდევ უფრო მკაფიოდ ვლინდება პოეტი ქალის ინდივიდუალობა. აქ უფრო მეტია წმინდა ქალური თვალით დანახული დეტალები: „ხვლიკის სხლტომის ხმა ბუჩქებში შეაქვს ფოთლების შრიალს", „ჟანგ-მოწითალო რხევა გვიმრების, როგორც გვირგვინი ბებერ ირმების ღერძმორკალული, ტოტებრქიანი" და სხვა. ამ უკანასკნელი ლექსის უმთავრესი თემაა სიყვარული. ამიტომაა, რომ მას ლაიტმოტივად გასდევს რამდენჯერმე გამეორებული სიტყვები: „მიყვარხარ! იცოდნენ წინასწარ, ჯერ მეც არ ვიცოდი, რომ მიყვარხარ, მიყვარხარ!"

საერთოდ, სიყვარული ამ კრებულში შესული ლექსების ერთ-ერთი ძირითადი მოტივთაგანია. ამიტომ ავტორის სიტყვები — „ისევ ვერ მწყვეტენ შენს არსებობას და შენს სიყვარულს" — თამამად შეიძლება ეპიგრაფად წარუმძღვაროს მთელ წიგნს.

ცალკე უნდა გამოიყოს ლექსების ციკლი „თბილისური" („სტუმრობა ბავშვობისას", „ჩემი ოთახი", „ძველი უბნის გახსენება მზიან დღეს"). შეიძლება ითქვას, რომ ამ ლექსების შესაქმნელად ავტორს მხატვრის ყალამი მოუმარჯვებია. დეტალები უაღრესად მკაფიოდ და ფერთა საოცარი შეხამებით არის დახატული. პერსპექტივაც კი დაცულია. წინა პლანზეა „ბრინჯაოს შტოებში გამოსული თეთრი შროშანი ლამფიან წითელ ქაღზე", ხოლო „იქითა ოთახი და ქუჩა თავს გვახსენებენ ოდენ მოგუდული ხმებით („იქითა ოთახს ძლივს გამოაქვს ქუჩის ჩუმი ხმაური") და შორი სურნელებით („აკაციები ტკბილად ჰყვავიან, ყვავილი სცვივათ"). ზოგჯერ პოეტი კინემატოგრაფიულ ხედვასაც იმარჯვებს და მოულოდნელი რაკურსით დაგვანახებს ახლოს მყოფ საგნებს: „აქა-იქ დაიმჩნევს ძეწკვის ბრწყინვა ოქროს სველ ნაკვალევს". საბოლოოდ, მკითხველი ისე ნათლად დაინახავს ყოველივეს, რომ ეჩვენება, თითქო ხშირად ყოფილა ამ ეზოსა და სახლში, თვითონაც ავტორის თვალით შეუხედავს საგნებისა თუ ბუნების მოვლენებისადმი. ამიტომ მასაც თამამად შეუძლია ავტორთან ერთად განაცხადოს: „როგორ მეცნობა ეს მუქი მზე!".

საგანგებო მსჯელობის ღირსია ესმა ონიანისეული შერჩევა ფერებისა. გავიხსენოთ, როგორ აღწერს იგი სვანურ ქუდებს — „ქუდებს თეთრებს, ნაცრისფერებს, მიწისფერებს, თაფლისფერებს, ხის გამძვრალი ქერქისფერებს, ჩამომტვრეულ ქვებისფერებს". აქ საღებავები და შედარებები ერთდროულად არის წარმოდგენილი, რაც მკითხველს საინტერესო ასოციაციებს აღუძრავს. კიდევ უფრო ნათლად ვლინდება პოეტი ქალის ეს უნარი ლექსში „მამამთილო იისაო, დედამთილო ბიისაო".

ჩვეულებრივ, როცა პოეტი ასე კარგად ხედავს, იგი ნაკლებ ყურადღებას აქცევს ლექსის ევფონიურ მხარეს. ამ მხრივ ესმა ონიანი ბედნიერი გამონაკლისია. მისმა თავისებურმა ბგერწერამ ჯერ კიდევ „ლიტერატურულ საქართველოში" გამოქვეყნებული ადრინდელი ლექსების გაცნობისას მოხიბლა მკითხველები. ეს გახლდათ ეგვიპტური ციკლის ლექსები, რომელთაგან სამი — „ქვა, ქანდაკება, ქვა", „დამშრალო ნილოსო" და „ხიფრას სფინქსის სიმღერა" — განსახილველ კრებულშიც არის შეტანილი. მოვუსმინოთ ავტორს: „ორასი ქანდაკება ქვის, ქვირითისებური ქვის, ქვის ორას ღიმილს ქმნის... ორასი ხათშეფსუთი ქვის ღიმილით თავისთავს თვლის".

ბგერწერის გარდა, ეგვიპტური ციკლი იმითაც არის ღირსშესანიშნავი, რომ აქ ავტორი ტაეპების კონტრასტული აგებისა და მოულოდნელი მეტაფორების ოსტატად გვევლინება. საილუსტრაციოდ საკმარისია მოვიყვანოთ ნაწყვეტი „ხიფრას სფინქსის სიმღერიდან": „ტორებს ვაჭენ დაბლა მიწას, თვალებით ვაკავებ ვარდნას ცისას... მაქვს ღიმილი მომგვრელი შიშის".

ერთ ლექსში პოეტმა მოხდენილად თქვა: „გავთლით ხეს თუ ოქროს გავჭედთ, ჩვენს ძლიერ სულს ზედ დავამჩნევთ!"

ესმა ონიანის ლექსებში მართლაც მკაფიოდ აღიბეჭდა მათი ავტორის ძლიერი სული და უეჭველი ნიჭიერება.

## კრიტიკა

# ესქილეს ცხოვრება ქართულად

### გრანი ქავთარია

ძველი წელთაღრიცხვით მე-6 საუკუნის დასასრულს სპარსეთი ელადის წინააღმდეგ აზეირთდა. სპარსთა მახვილს შეელეწა სახელოვან ქალაქთა კარიბჭენი. გამარჯვებით განებივრებული სპარსელები ამაყად დაქროდნენ თვალუწვდენ სივრცეზე, ყველგან ცრემლსა და ნახანძრალს ტოვებდნენ. ცეცხლი იყო აქემენიდების უზენაესი ღვთაება. ცეცხლი მიუძღოდათ წინ, ცეცხლის ნაკვალევი რჩებოდათ უკან.

დაეცა ლიდია. გაშიშვლდა ეგეოსის ზღვის აღმოსავლეთი სანაპირო. პირველი დარტყმა მცირე აზიელმა ბერძნებმა იგემეს. იონია მტერმა სისხლისაგან დაცლილი ჩაიბარა. დადგა ელადის ჯერი. ისიც ხმალშემართული აღუდგა წინ მრისხანე მტერს, რომ თავისი დამოუკიდებლობა დაეცვა. ბერძნების მტერთან შერკინების გმირული ფურცლები „ისტორიის მამამ" ჰეროდოტემ უკვდავყო. ამ ომში მრავალი ბერძენი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე მონაწილეობდა. ბერძენ-სპარსელთა ბრძოლების მონაწილე იყო გენიალური ტრაგიკოსი ესქილე. ამ დაძაბული და მძიმე ეპოქის ეპიზოდების აღწერით იწყება ვ. ბააკაშვილის წიგნი „ესქილე".

ტრაგიკული როლით წარმოუდგენია ვ. ბააკაშვილმა მკითხველს „ტრაგედიის მამა".

სპარსელთა წინააღმდეგ ომში ესქილეს მთელი ოჯახი მონაწილეობდა. მისი ძმა, სახელად კინეგირი, მარათონის ბრძოლას შეეწირა. მეორე ძმა ამინიოსი შამაცურად იბრძოდა სალამინის სრუტეში. თვით ესქილე მძიმედ დაიჭრა მარათონის ველზე.

მარათონის ბრძოლიდან ვეცნობით ესქილეს ცხოვრებას. ბრძენი მგოსანი თანდათან გვიახლოვდება და გვახედებს თავის სულში, გვიხსნის მითებითა და ლეგენდებით დაბინდული სამყაროს კარებს.

წიგნში დამაჯერებლადაა აღწერილი ეპოქა მარათონისა და სალამინის ბრძოლებს შორის, ათწლეული, რომელიც ორივე მხარემ (საბერძნეთმა და სპარსეთმა) ომის მზადებას მოანდომა. კარგადაა დახატული ათენის სახალხო კრება, კამათი, რომლის მიზანიც ერთი იყო: სამშობლოს მზადყოფნა, მტერთან ღირსეულად დახვედრა. ვ. ბააკაშვილი მიჰყვება ისტორიულ სინამდვილეს. თხრობა ლაკონურია და დამაჯერებელი. დაეცა ატიკა. მტერმა გადაწვა ათენი. ტრაგედიამ ბერძენთა გმირული სული ვერ ჩააქრო.

საბერძნეთის ბედი ფლოტზე იყო დამოკიდებული. და ეს იმედი გამართლდა. სალამინის საზღვაო ბრძოლაში გამარჯვებამ საბერძნეთს თავისუფლება შეუნარჩუნა. ვ. ბააკაშვილს კარგად აქვს აღწერილი ეს ბრძოლა. ისტორიული სინამდვილე ზომიერი მხატვრული საღებავებითაა ასახული.

ესქილეს მოღვაწეობით ახალი ეტაპი დაიწყო ბერძნული თეატრის ისტორიაში. შთამბეჭდავადაა აღწერილი სალამინის ბრძოლის დროს ესქილესა და ჭაბუკი სოფოკლეს პირველი შეხვედრის სცენა. დასაწყისიდანვე ნათელი ხდება, რომ ეს არ იყო უბრალო შეხვედრა. ეს იყო ორი დიდი შემოქმედის საქმიანი, ორივე მხარისათვის სასარგებლო კონტაქტის დამყარება. დაიწყო მათი გულითადი მეგობრობა. წიგნის მიხედვით ესქილე გახდა სოფოკლეს მასწავლებელი და გზის მაჩვენებელი. ესქილე სიხარულით ეგებებოდა უმცროსი თანამოკალმის ყოველ წარმატებას. (ანტიკურ ავტორებთან საწინააღმდეგო ცნობაცაა დაცული. მაგ., პლუტარქე წერს, რომ სოფოკლეს გამარჯვებამ ესქილეს გულისწყრომა გამოიწვია, ამის გამო ათენი დატოვა და სიცილიაში გადასახლდაო). ესქილემ გადატრიალება მოახდინა ბერძნული თეატრის ისტორიაში სცენაზე მეორე მსახიობის გამოყვანით. სოფოკლემ კიდევ უფრო სრულყო თეატრი. მან სცენაზე მოქმედ პირთა რიცხვი სამამდე გაზარდა. ესქილემ, როგორც მაძიებელმა შემოქმედმა, მიიღო სოფოკლეს მიერ შემოტანილი სიახლე. სიცოცხლის ბოლო წლებში დაწერილ ტრაგედიაში სამი პირია გამოყვანილი.

ვ. ბააკაშვილის ესქილე იმდროინდელი ბერძნული კულტურის ცენტრში ტრიალებს. მასთან შეხვედრას ესწრაფვიან პოეტები და სახელმწიფო მოღვაწეები. პატივისცემით ეპყრობოდნენ ესქილეს არისტიდი, თემისტოკლი, კიმონი, სიმონიდე, პინდარე და განსაკუთრებით სოფოკლე.

ვ. ბააკაშვილის ესქილე არ არის ყოველდღიური ცხოვრებისაგან განდგომილი, იგი აქტიურად მონაწილეობს ქვეყნის მართვა-გამგეობაში, სახალხო კრებაზე გამოსული პოეტი ათენის მოსახლეობას აღაფრთოვანებს თავისი შინაარსიანი, პატრიოტული სიტყვებით.

წიგნში ესქილე დახატულია უკეთილშობილეს რაინდად. პოეტის ცხოვრების უმთავრეს მიზანს ადამიანთა სამსახური წარმოადგენს. ეს ჩანს არა მარტო მისი შემოქმედებიდან, არამედ პრაქტიკული საქმიანობითაც. ამ მოსაზრების დასამტკიცებლად ცალკე უნდა გამოიყოს ესქილეს მიერ მონა ტალთიბეს განთავისუფლების სცენა. ესქილე მონათმფლობელური საზოგადოების ტიპიური წარმომადგენელია, მაგრამ ეს არ უშლის ხელს იყოს მონის მიმართ ადამიანური, მონას უყურებდეს, როგორც ადამიანს, თუმც არ ღალატობს თავისი კლასის, თავისი ეპოქის ინტერესებს. ვ. ბააკაშვილთან ესქილე ასე მსჯელობს: „ნუ დავივიწყებთ, რომ მონობა უკვდავი ღმერთების მიერაა დადგენილი". ან „ასე დაუწესებიათ უკვდავ და ყოვლისშემძლე ღმერთებს". ამ მოვლენის სხვანაირად დანახვა მონათმფლობელურ საზოგადოებაში აღზრდილ ესქილეს არ შეეძლო და არც წიგნის ავტორი მიაწერს ზედმეტს. თუ ამას დავუშვებდით, მაშინ ესქილეს პიროვნება არაბუნებრივ სახეს მიიღებდა. „მონა იმიტომ არის მონა, რომ სხვაზე მეტად იტანჯოს და სხვაზე მეტიც მოითმინოს", ასეთია მონის ბედი ესქილეს თვალსაზრისით. ამის მიუხედავად იგი მაინც ათავისუფლებს ერთგულ მონას. ძველ სამყაროში გვხვდებიან ერთგული მონები, რომლებიც თავიანთი ერთგულებისათვის უმაღლეს ჯილდოს, თავისუფლებას იმსახურებდნენ. ამ შემთხვევაში ესქილეს მოქმედება გამონაკლისს არ წარმოადგენს. (გავიხსენოთ ციცერონის დამოკიდებულება თავის განათლებულ მონა ტირონთან).

ამ შტრიხების მეშვეობით ესქილე უფრო თბილი და ადამიანური წარუდგა მკითხველს.

წიგნი მიმზიდველად და საინტერესოდ არის დაწერილი. ავტორის ენა ლაღია და ლაკონური. აღწერილს მიღმა რჩება მრავალი სცენა, რომლის ფარდის ახდის უფლებასაც ვ. ბააკაშვილი მკითხველს უტოვებს.

ზემოთ აღნიშნულ მრავალ ღირსებასთან ერთად გვაქვს რამდენიმე შენიშვნა, რომელთა გარკვევაც საჭიროდ მიგვაჩნია.

ვ. ბააკაშვილის „ესქილეს" სუსტი კავშირი აქვს იმ სერიასთან (გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრება), რომლითაც გამოვიდა. ჩვენი აზრით აჯობებდა, რომ ავტორის ფანტაზიას ცოტა ფრთები შეეკვეცოდა. „ცხოვრების" ნაცვლად გვაქვს გამართული ისტორიული მოთხრობა,—ვერც ცხოვრების სერიის ავტორს მოეთხოვთ მკაცრად დაცულ ისტორიულ ჩარჩოებს, მაგრამ ასე თავისუფალი დამოკიდებულება რეალური პიროვნებისადმი (ტრაგიკოსის შესახებ ისედაც ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს თანამედროვე მკითხველს), გამოგონილ პირთა სიმრავლე და მრავალი არაისტორიული სცენა, ნაკლებად ისტორიულს ხდის ესქილეს ცხოვრებას.

მკითხველს თუ სურს გაიგოს, როდის მოღვაწეობდა ესქილე, გაიგებს მხოლოდ ბერძენ-სპარსელთა ომებით. არაა მითითებული როდის მოხდა მარათონის ან სალამინის ბრძოლები. ახალგაზრდას, რომელიც კითხულობს წიგნს ესქილეს ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე, პოეტის დაბადებისა და გარდაცვალების წლებიც უნდა ვაუწყოთ.

გაჭიანურებულად მიგვაჩნია ესქილეს სიცილიაზე გადასახლების მიზეზების გადმოცემა.

ავტორს ვერ დავეთანხმებით ფრინიქესა და ესქილეს ასე მკაცრად დაპირისპირების რეალურობაში. მცდარად შეიძლება ჩაითვალოს მთელი მისი მსჯელობა ამ საკითხის გარშემო. ფრინიქე მიჩნეულია ბერძნული ტრაგედიის ყველაზე დიდ წარმომადგენლად ესქილემდე. „ტრაგედიის მამამ" აითვისა თავისი წინამორბედის მიღწევანი და განავითარა იგი (სცენაზე ორი მსახიობი გამოიყვანა), მაგრამ ანტიკური ტრაგედია „სრულყოფამდე" არ მიუყვანია (სოფოკლემ ორი მოქმედი პირი სამამდე გაზარდა). ეჭვს არ იწვევს ის გარემოება, რომ ესქილესა და ფრინიქეს შორის უთანხმოებას ექნებოდა ადგილი, მაგრამ ბრძოლის აღწერილი ფორმები შეურაცხყოფას აყენებს ღვაწლმოსილი ტრაგიკოსის დამსახურებას. თავის დროზე ფრინიქეს ტრაგედიამ „მილეტის აღებამ" უდიდესი ზემოქმედება მოახდინა იმ ხალხზე, რომელმაც შემდეგ პირველობის გვირგვინი ესქილეს დაადგა. წიგნში კი იგი გამოყვანილია უბადრუკ მოხუცად, რომელიც არავითარ ბოროტებას არ ერიდება, რომ ჩრდილი მიაყენოს ესქილეს. ფრინიქეს დამცირებით ესქილეს არაფერი ემატება. ისტორიულმა უკუღმართობამ ისედაც დიდი ზიანი მიაყენა ფრინიქეს შემოქმედებას, მისი თხზულებებიდან მხოლოდ უმნიშვნელო ფრაგმენტებია მოღწეული. ფრინიქე ბერძნული ტრაგედიის სათავეებთან დგას და საკმაოდ დიდი დამსახურებაც მიუძღვის მისი განვითარების საქმეში, ამდენად მისი აუგად მოხსენიება უბრალოდ უხერხულია.

მართალია, არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ შევნიშნავთ: ჰეროდოტე გვაუწყებს, რომ მარათონის შემდეგ კინეგირს (ესქილეს ძმას) მოკვეთეს ხელი იმ დროს, როდესაც ბრძოლის ველიდან გაქცეულ სპარსელებს გემზე მიეჭრა და ამ ჭრილობისაგან გარდაიცვალაო (ჰეროდოტე, VI, 114). წიგნში კი ფარიდან ასხლეტილი ისარი გაერჭო ყელში. ამ გადახვევით ალბათ ავტორს სურდა ესქილე უშუალოდ მარათონის ველზე წარედგინა მკითხველისათვის, რაც ნაკლებ გამართლებას პოულობს. ესქილეს გამოსაყვანად სხვა სცენა უნდა დაეხატა, ხოლო კინეგირისათვის შეენარჩუნებინა უფრო ვაჟკაცური სიკვდილი.

წიგნში ტრაგიკულადაა აღწერილი ესქილეს სიცოცხლის ბოლო წუთები, მაგრამ დამაჯერებლობა აკლია. სიცილიაში საცხოვრებლად გადასახლებულ პოეტს დაუფლებია ნოსტალგია. სამშობლოსა და შვილს მონატრებული ესქილე ღრმად დაფიქრებული ისვენებს ზღვის სანაპიროზე. ამ დროს მოხუც პოეტს მოევლინა არწივი, რომელმაც საბედისწერო როლი ითამაშა მის ცხოვრებაში. ფრინველთა მეფემ ელვის სისწრაფით აიტაცა ზეცაში კუ, ჩამოაგდო მაღლიდან, დასცა თავზე ესქილეს და მოკლა. ასეთია ესქილეს სიცოცხლის დასასრული წიგნის მიხედვით. ასე უბრალოდ და ტრაგიკულად დაიღუპა დიდი ტრაგიკოსი.

ანტიკურ ტრადიციაში დაცული ესქილეს სიკვდილის მომენტი ლეგენდადაა მიჩნეული. ძველი ბერძნები დიდი ადამიანების სიკვდილს ხშირ შემთხვევაში ბურუსში ახვევდნენ. ამდენად გულდასაწყვეტია, რომ მკითხველი ესქილეს გარდაცვალების აღწერის სცენას ისევ ბურუსში აღიქვამს. თანამედროვე ნაშრომში კი ისტორიული სინამდვილე უნდა იყოს ასახული. გაცილებით აჯობებდა, რომ ავტორს ლეგენდის გაღრმავებისაგან თავი შეეკავებინა და ესქილეს გარდაცვალების შესახებ არსებული გადმოცემა მხოლოდ ლეგენდების საკუთრებად დაეტოვებინა. თუ ძველ ბერძნებს მიაჩნიათ, რომ განსაკუთრებული ადამიანი აუცილებლად განსხვავებული სიკვდილით უნდა წასულიყო ამ ქვეყნიდან, თანამედროვე მკითხველი ნაკლებად დაიჯერებს. ტრაგიკოსის გარდაცვალების სინამდვილესთან მიახლოებით გადმოცემა ავტორის მსჯელობას უფრო სარწმუნოს გახდიდა, ასეთ შემთხვევაში წიგნიც და მკითხველიც მოგებული დარჩებოდა.

სასურველად მიგვაჩნია აგრეთვე აღნიშნულიყო ისიც, რომ 1975 წელს შესრულდა 2500 წელი ესქილეს დაბადებიდან, 25 საუკუნე საკმაოდ სოლიდური თარიღია, ამიტომ კარგი იქნებოდა ავტორს ამის შესახებ რამე მიენიშნებინა.

ეს ჩვენი შენიშვნები და სურვილები ოდნავადაც ვერ შეცვლის იმ კარგ შთაბეჭდილებას, რომელსაც ანტიკური ეპოქით დაინტერესებულ მკითხველზე ვ. ბააკაშვილის წიგნი მოახდენს.

ესქილეს ბიოგრაფიის ქართულად გამოცემა მნიშვნელოვანი მოვლენაა. ალბათ ბევრ ახალგაზრდას აღუძრავს სურვილს წაიკითხოს უკვდავი პოეტის ქმნილებებიც, რომელთა მშვენიერი თარგმანები უკვე მიიღო ქართველმა მკითხველმა.

# ალექსანდრ ბლოკის დაბადების 100 წლისთავისათვის

## შეიქმნა საიუბილეო კომიტეტი

მიმდინარე წლის ნოემბერში სრულდება დიდი რუსი პოეტის ა. ა. ბლოკის დაბადების 100 წლისთავი.

სსრკ მწერალთა კავშირმა შექმნა საკავშირო საიუბილეო კომიტეტი ამ თარიღთან დაკავშირებული ღონისძიებების მოსამზადებლად და ჩასატარებლად.

კომიტეტის თავმჯდომარეა სსრკ მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი ს. ს. ნაროვჩატოვი, თავმჯდომარის მოადგილეები — რსფსრ მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე ს. ვ. მიხალკოვი, მოსკოვის მწერალთა ორგანიზაციის გამგეობის პირველი მდივანი ფ. თ. კუზნეცოვი, ლენინგრადის მწერალთა ორგანიზაციის გამგეობის პირველი მდივანი ა. ნ. ჩეპუროვი. პასუხისმგებელი მდივანი — ვ. ა. უვაროვი.

კომიტეტის შემადგენლობაში არიან — გ. გ. აბაშიძე, ა. პ. ალექსანდროვი, მ. ნ. ალექსეევი, პ. თ. ალექსეევი, ა. ა. ანანიევი, ტ. ა. ასკაროვი, ვ. გ. აფანასიევი, ი. ი. ბარაბაში, ს. ა. ბარუზდინი, ა. ა. ბელიაევი, გ. პ. ბერდნიკოვი, ი. ვ. ბონდარევი, ვ. მ. ბორისენკოვი, პ. პ. ბროკა, ი. ნ. ვერჩენკო, ს. ვ. ვიკულოვი, ვ. ნ. განიჩევი, ნ. მ. გრიბაჩოვი, ი. ტ. გრიბოვი, მ. ა. დუდინი, ვ. პ. ელიუტინი, ა. ა. ეპიშევი, ვ. ნ. ერიომენკო, თ. ტ. ერმაში, ე. მ. ჟუკოვი, ვ. გ. ზახაროვი, პ. ა. ზაგრებელნი, ლ. ა. ზემლიანიკოვა, რ. თ. კაზაკოვა, მ. კანოატი, ი. ა. კასუმოვი, ვ. პ. კატაევი, ე. თ. კნიპოვიჩი, ვ. მ. კოჟევნიკოვი, ვ. ი. კოჩემასოვი, ლ. ა. კულიჯანოვი, თ. კ. კურბანოვი, პ. ა. კუუსბერგი, ს. გ. ლაპინი, ლ. მ. ლეონოვი, გ. მ. მარკოვი, ა. მ. მალდონისი, ვ. ნ. მაკეევი, ი. ს. მელენტიევი, ჯ. ჯ. მულდაგალიევი, ვ. მ. ოზეროვი, ვ. ნ. ორლოვი, ვ. ო. ოსიპოვი, ბ. დ. პანკინი, ბ. ნ. პასტუხოვი, ვ. ა. პეტროსიანი, ბ. ნ. პოლევოი, ნ. ა. პონომარიოვი, გ. რ. პრიედე, მ. ა. პროკოფიევი, რ. ი. როჟდესტვენსკი, ა. ვ. რომანოვი, ა. დ. სალინსკი, ს. ვ. სარტაკოვი, ნ. ვ. სვირიდოვი, ე. ი. სკურკო (მაქსიმ ტანკი), ბ. ი. სტუკალინი, ა. ა. სურკოვი, ი. ი. სუროვცევი, ლ. ნ. ტოლკუნოვი, ე. მ. ტიაჟელნიკოვი, თ. ტ. ფედორენკო, გ. კ. ხოლოპოვი, მ. ბ. ხრაპჩენკო, ტ. ნ. ხრენნიკოვი, დ. ტ. ხრენკოვი, ა. ბ. ჩაკოვსკი, ვ. ფ. შაურო, ო. ნ. შესტინსკი, მ. ა. შოლოხოვი, კ. ნ. იაშენი.



### ალექსანდრ ბლოკი

•

ტკბილად მღეროდა ქალიშვილი ეკლესიაში
იმათზე, ვისაც უცხოეთმა სამსალა ასვა,
იმ ხომალდებზე, რომ მიაწყდნენ ზღვები გნიასით
და მათზე, ვისაც სიხარული არ ელის არსად.

მღეროდა იგი და მღეროდა ტაძრის გუმბათი
და გაშიშვლებულ მხარზე სხივი თვალებს ახელდა
და ცხადი იყო, ტაძრის ბინდში ის ხმა უბადლო
ვით თრთოდა ანდა თეთრი კაბა ვით ცახცახებდა.

ყველას ეგონა, სიხარული უნეტარესი
ელირსებოდათ და ხომალდებს მყუდრო უბეებს
დაახვედრებდა ნავსადგური და სხვა მხარეში
რომ ტანჯულები მიაგნებდნენ მზის სასუფეველს.

და ის ხმა თრთოდა განათებულ ცის ნაპირივით,
მხოლოდ აღსავლის კართან იყო გულშემზარავი
დიდ საიდუმლოს განდობილი ბავშვის ტირილი,
რომ დაბრუნება არ ეწერა უკან არავის.

თარგმნა გივი გეგეჭკორმა

## ლიტერატურული ცხოვრება

### გიორგი შატბერაშვილის საიუბილეოდ

მიმდინარე წლის აპრილში 70 წელი უსრულდება ცნობილ ქართველ მწერალს გიორგი შატბერაშვილს. გაიმართა საიუბილეო კომისიის სხდომა (თავმჯდომარე გრიგოლ აბაშიძე), რომელმაც დასახა საიუბილეო ღონისძიებები: თბილისში და მწერლის მშობლიურ რაიონში — კასპში მოეწყობა გიორგი შატბერაშვილის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამოები. გამოვა მწერლის რჩეულ ნაწარმოებთა ერთტომეული. სოფელ კავთისხევში დაიდგმება მწერლის ბიუსტი. ჩატარდება საღამოები სკოლებსა და კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებებში.

### წიგნის განხილვა

ახლახან საბავშვო და ახალგაზრდული ლიტერატურის სექციის საჯარო სხდომაზე მოეწყო დოდო ვადაჭკორიას ახალი წიგნის „ერთი კალთა სიყვარული“ განხილვა. წიგნის ირგვლივ ისაუბრა ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატმა ლერი ჩანტლაძემ. მან აღნიშნა, რომ ნაწარმოები ავტობიოგრაფიულია, მწერალი უხვად იყენებს ცხოვრებისეულ ამბებს. საინტერესოდ არის მოთხრობილი მოზარდის დამოკიდებულება თანატოლებთან, უფროსებთან, ბუნების სამყაროსთან.

მომხსენებელმა აღნიშნა ნაკლოვანებანიც: ზოგიერთი სახე სქემატურია, ზოგ ეპიზოდს მეტი დამუშავება და დახვეწა სჭირდება.

წიგნი ენობრივად მდიდარია, უხვად გვხვდება შედარებები, მეტაფორები, თუმცა აქა-იქ გვხვდება კალკები, დიალექტური თქმანი.

კამათში მონაწილეობა მიიღეს პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტმა ზურაბ ბოცვაძემ, „ნაკადულის“ მთავარმა რედაქტორმა ნონა კალანდარიშვილმა, განყოფილების გამგემ — ლილი გოგოხიამ, მწერლებმა ქეთევან ქუჩუკაშვილმა, ნინო ბეჟარაშვილმა, ქეთევან ჭილაშვილმა.

დოდო ვადაჭკორიამ მადლობა გადაუხადა დამსწრეთ წიგნის გულახდილი განხილვისათვის.

### შანდორ პეტეფის სახლ-მუზეუმში

ჩვენი მკითხველი საზოგადოებისათვის ცნობილია, რომ უნგრეთის გათავისუფლებისათვის ბრძოლის დროს ქალაქ კოშკოროშში გმირული სიკვდილით დაეცა ქართველი მეომარი ბენია ბოჭორიშვილი. სამი წლის წინათ მისმა მეუღლემ იზოლდა ბოჭორიშვილმა ხანგრძლივი ძებნის შემდეგ იპოვა თავისი მეუღლის საფლავი. მას შემდეგ შვილებთან ერთად ჩადის მისთვის ძვირფასი საფლავის მოსანახულებლად. 1979 წლის ნოემბერშიც ეწვია ი. ბოჭორიშვილი მოძმე უნგრეთს. ქალაქ კოშკოროშში არის გამოჩენილი უნგრელი პოეტ-რევოლუციონერის შანდორ პეტეფის სახლ-მუზეუმი. მუზეუმისათვის გადასაცემად ი. ბოჭორიშვილმა საქართველოდან წაიღო შანდორ პეტეფის ლექსების გრიგოლ აბაშიძისეული თარგმანის კრებული, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ და პეტეფის ჭედური პორტრეტი. ქართული წიგნის გადაცემას დაესწრნენ ქალაქის ხელმძღვანელობის წარმომადგენლები. ამასთან დაკავშირებით გაზეთმა „პეტეფი ნეპემ“ (პეტეფის სახლი) დაბეჭდა წერილი. მოვიტანთ ამონაწერს ამ წერილიდან:

„1977 წლის შემოდგომაზე გავიცანით იზოლდა ბოჭორიშვილი. აშლელვებელი თავგადასავალი აქვს. პენსიონერი ქალი 33 წლის განმავლობაში შეუპოვრად ეძებდა დიდ სამამულო ომში დაღუპული მეუღლის საფლავს, ვიდრე არ შეიტყო, რომ ტყიბულელი ქართველი ვაჟკაცი ბენია ბოჭორიშვილი უნგრეთის გათავისუფლებისათვის ძაძაბულ ბრძოლაში დაეცა და კოშკოროშის სასაფლაოზე სძინავს მარადიული ძილით. შემდეგ იგი შვილებთან ერთად დაადგა გრძელ გზას. ქალბატონ იზოლდასთან შეხვედრა კოშკოროშის სასაფლაოზე მოხდა.

სანამ ცოცხალი ვარ, ჩემთვის კოშკოროშში იცოცხლებს ჩემი ქმარი. ამბობენ, რომ ისე, როგორც საქართველოში, აქაც მევენახეობას მისდევენ და მშვენიერ ღვინოს აყენებენ; ეს კიდევ ერთი ნათესაური შტრიხია ჩვენს ხალხებს შორის. დაილოცოს კოშკოროშის მიწა, სადაც იმყოფება ჩემი ძვირფასი საკუთრება, — თქვა გმირის ქვრივმა, რომელსაც გუშინ კვლავ შევხვდით კოშკოროშში პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები და მისი პირადი მეგობრები.

ქალბატონმა ბოჭორიშვილმა ახლანდელი ჩამოსვლისას პეტეფის სახლ-მუზეუმს ქალაქის ხელმძღვანელობის თანდასწრებით გადასცა გენიალური ქართველი პოეტის შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, შანდორ პეტეფის ლექსების კრებული ქართულ ენაზე და პეტეფის ჭედური პორტრეტი“.

მარიამ რატიანი

### რეპლიკა

## ტერმინის გამო

სულ ახლახან თბილისის უნივერსიტეტმა გამოსცა კანტის „წმინდა გონების კრიტიკა“, თარგმნილი შალვა პაპუაშვილის მიერ. ცხადია, ეს არ არის რიგითი მოვლენა ქართულ კულტურულ ცხოვრებაში და ეს დიდებული თარგმანი ღირსეულად დაფასდება სპეციალისტებისგან. ახლა მე მინდა მხოლოდ ერთი ტერმინის გამო გამოველაპარაკო მთარგმნელს.

შ. პაპუაშვილი წერს, რომ სიტყვას das Gemüt კანტი „ხმარობს გრძნობა-შეგრძნების და აზროვნების უნარის გამოსახატავად“ და, რომ ამ სიტყვას „ქართულსა და რუსულში არა აქვს ზუსტი ექვივალენტი“ (გვ. 497). ამიტომ ვთარგმნეთო, როგორც „სული“. ხანდახან ქართულად ვხმარობთო „გრძნობა-გონებას“, „სულსა და გულს“.

მე ვფიქრობ, გერმანულ das Gemüt-ს ზუსტად შეესატყვისება ქართული სიტყვა „რუასი“. ეს სიტყვა არის ილია ჭყონიას „სიტყვის კონაში“. „რუასი“ ქუთაისში ჩაუწერია პეტრე მირიანაშვილს.

მთარგმნელს სამართლიანად უკუუგდია die geistige Seele-ს შესატყვისად „სულიერი სული“, მაგრამ არც „გონისეული სულია“ მთლად კარგი. გერმანული ტერმინის თარგმნა უფრო ზუსტად შეიძლებოდა. არის ერთი დავიწყებული ქართული სიტყვა „სამშვინველი“, რომელსაც ძველად აქტიურად იყენებდნენ. სამშვინველი უდრის რუსულ душа-ს და გერმანულ die Seele-ს. Der Geist კი სულია (дух). თუ ამას გავითვალისწინებთ, მაშინ die geistige Seele იქნება „სულიერი სამშვინველი“.

ვფიქრობ, რომ ქართულ ფილოსოფიურ ლიტერატურაში უნდა დამკვიდრდეს ტერმინები — რუასი (das Gemüt), სული (der Geist), სამშვინველი (die Seele). სამშვინველიდან წარმოებული ზედსართავი არის „მშვინვიერი“-seelisch (душевный).

კაკი ბაქრაძე

## მურმან ლებანიძე

# ახალი წიგნიდან

◆◆◆

გიყვარდა ლექსი ისეთის ძალით —
სიტყვის ფერ-ხორცი, გემო, სიჭრელე,
რომ... თითებშუა გაგექცა წყალი,
ცხოვრებით — გული ვერ მოიჯერე!

გიყვარდა ხალხი ისეთის ძალით,
რომ... საკუთარი დღე მოიწამლე —
ვერა, ვერ გასძეხ: მზით, ღვინით, ქალით,
წუთისოფლისთვის ვერ მოიცალე!

ახლა მაგ ბუხარს აფიცხე ძვლები,
ეგ... ფერფლისფერი თმა შეიფერე —
ოთხმოციანი ჩამოდგა წლები
და ჩვენი ცოდვით სავსე სიბერე!

◆◆◆

ფერადები მოჰქრის ჭრელი:
სასახლეში მოგდის შელლი...
შენ — საიდან, შენ — საიდან,
ჩემი ბოტიჩელი?!

ზარი — მიქელ ანჯელოსი...
მკლავი — გაშყავ სახელოში,
„აქ ჩემოვსხდეთ, — ეუბნები, —
აგერ, ამ ჩეროში...“

ბაღში — შადრევანი ნიმფით!
უძლვი მარმარილოს კიბით —
ვარდი უჩანს, ვარდი უჩანს
მოცარტს გულის ჯიბით.

მოვა გენიოსთა ხროვა, —
ხვდები სტუმრებს წყვილი შანდლით,
ვინ არ მოვა, ვინ არ მოვა
შენი ღვინის ხათრით!

ბლოკთან რაფაელიც გყავდეს!
გყავდეს, რამდენიც კი გწამდეს!
შენ არავინ გეცილება
ვან-დეიკის ლანდებს!

მე ვგონებდი, რომ იცოდა
მარტო ჩემი ქოხის კარი,
ახლა შენს ბაღშიაც ვხედავ —
გული მომიკალი...

სასახლეში მოგდის შელლი,
რუსთაველიც მოგდის შენი —
შენ რად, შენ რად, გალაკტიონ,
ჩემი ბოტიჩელი?!

◆◆◆

პარტახი —
მძაგდა!
მათრახი —
მძულდა!
ასრულდა,
ახდა —
აგორდა
გუნდა!
ხეობის წიგნში — მწყუროდა! მსურდა! —
შელოცვასავით ჩავწერო უნდა:
ხრიხონისს,
ქრისტესს,
კვაშხიეთს,
ბოყვას —
ჩემს ჯიშს,
ჩემს ჯილაგს,
ჩემს თვისტომს,
მოყვასს:
(ცეცხლი დაინთება, კერია არ ჩაქრება) —
კეთილი იყოს თქვენი დასახლება!
ფარახეთს,
სევას,
მრავალძალს,
სხიერს —
ჩემს სისხლს და
ჩემს გენს,
ხნიერს და
ძლიერს:
კეთილი იყოს თქვენი დასახლება —
თქვენი მშენებლობა! თქვენი ჩასახლება!
პარტახი —
მძაგდა!
მათრახი —
მძულდა!
ასრულდა!
ახდა!
მწყუროდა!
მსურდა! —
შემობრუნება ხომ იძრა დროთა?!
ეს სიხარულიც ვიკმაროთ ცოტა!

◆◆◆

არ დაცემულა
საქართველო იმრიგად ჯერეთ, —
იხილო მსგავსი
და არ წაგსკდეს
ცრემლები ღელედ.

ბაზრის ჭიშკართან,
შავით მოსილს — დღე იყო ჭრელი —
შვილების ჯიბრზე
გაეშვირა დედაკაცს ხელი.

ბრინჯაოს მაჯა
და დაჭმუჭვნილ ლაწვებზე სითხე...
„დედი, ვინა ხარ?!
ქართველი ხარ?!“ —
ტირილით ვკითხე.

ის იდგა მკაცრი,
წარბშეკრული და შიშის მგვრელი —
შვილების ჯიბრზე
გაეშვირა დედაკაცს ხელი...

„მაინც, ეგ როგორ!
რა შეგემთხვა, რა მოხდა, დედი!!“
„სიკვდილი, შვილო! —
სთქვა გოროზად, —
სიკვდილზე მეტი!“

„ხუთი დავბადე,
ხუთი ჭრელი დავზარდე გველი...“ —
შვილების ჯიბრზე
გაეშვირა დედაკაცს ხელი...

არ დაცემულა
საქართველო იმდენად ჯერეთ, —
იხილო მსგავსი
და არ წაგსკდეს
ცრემლები ღელედ.

◆◆◆

ჩაბამბულია გაღმა სოფელი,
როგორც აკვანში ახალშობილი.

თოვს. კვაშხიეთი ჩემი აქვეა,
გაღმა, დათოვლილს, გეტყვი რაც ქვია.

იდიდოს მაგის კაი სახელი —
მოუკვდეს ქრისტესს ავისმზრახველი!

კი, გივინიკა ჯოხაძის მშობელს —
ქრისტესი ჰქვია კლდისთავზე სოფელს.

თოფიან ვლასის მწევარი მისდევს...
ათოვს ხრიხონისს და ათოვს ქრისტესს.

ათოვს კვაშხიეთს და ათოვს ბოყვას
და თოვლს იმხელა ოცნება მოჰყავს,

შენ არც იფიქრო, — რაჭაში ვწერდე,
კვაშხიეთს ვიჯდე და ქრისტესს ვმზერდე —

თოვს აქ, თბილისში, და თოვლი ლესავს
(აქედან ვხედავ!) ხეობას ჩემსას.

◆◆◆

ქვეყნის ამდენი წყლულით,
ვნებით სახლის თუ ქუჩის,
უცბად გვერდს იცვლის გული,
კვლავ შებრუნება უჭირს...

დაცვდნენ წისქვილის ქვები,
დაჩდნენ ფესვები ბურჯის,
მაგრამ ხომ იყვნენ წლები
გზნებით ოცნების ლურჯის?!

ხომ იბაგუნე უროდ
საქმისთვის, არცთუ ფუჭის?!
გმადლობ — დაღლილო გულო
და თქვენც, ნერვებო თუჯის!

◆◆◆

წამცდება ზოგჯერ შეძახება ომახიანი:
დასტოვებს საფარს
და ბუხუნით,
მუქარით,
წყრომით
მოეზაყება, დედამიწა მოაქვს ღრიალით —
მიძინებული,
უცბად ჩემში
ილვიძებს
ლომი...

მაგრამ უმალვე გული ეჭვით გაიკაწრება,
მხნეობა ჩემი
არსებულით
მალევე
ცხრება
და გადამფრენი ფრინველივით გაებაწრება
ცხოვრების სარკმელს
მოწყენილი
დღეების
წყება...

. . .

ყურს ნუ ათხოვებ
მოწყენილი დღეების კვნესას —
მკითხველო ჩემო,
შენ ლომს მიჰყევ,
ლომს მიჰყევ
ჩემსას!

◆◆◆

შენ მეკითხები: რას ვაპირებ აწი და აწი?!
რას შეიძლება აპირებდეს ჩემი ხნის კაცი?!

ვაპირებ იმას, რაშიც შაურს არავინ გიხდის:
კოხტად, ლამაზად დაბერებას, ლამაზად სიკვდილს!

არა, საერთოდ მეკითხეთ, — [illegible]
თუ ყოველდღიურს —
რას ვაპირებ,
[illegible] ხვალ-ზეგ!!

თუ აგრეა და, ჩაკარებას ველი დეკემბრის,
თოვლი მიყვარს და ჩამოთოვოს მთები ეგების!

ველი
ფანჯრების ამოგმანვას თოვლით და ჭირხლით, —
განვაგრძო ჩემი მოწყენილი „ოთახის ციკლი“!

◆◆◆

საზიზღარია, ჩემო ალექსი,
უგულისძგერო, ვითომ ღრმა ლექსი!

ნახელოსნევი და ნაწვალები —
ტვინით ნაჭყლეტი ჩალა პწკარები!

მე მიყვარს ლექსი, — შიგ გულში გლიჯო, —
გამოვარდნილი, როგორც ზვიგენი,
რომელიც ყვირის: — მაცადე, ბიჭო,
მე თვითონ ვიცი — გზა გავიგენი!

◆◆◆

— შრება სისხლი, კვალად ჰქნება ხორცი,
ყველაფერი ბერდებაო ნორჩი,
უცვლელია მხოლოდ ჟამთა დენა,
ყველაფერი ცვალებადობს დროში...

— ამიტომაც ცვალებადობს რწმენა?!
ამიტომაც ცვალებადობს მრწამსი?!

აგე, კაცი! — დგას სიკვდილის პირად —
არაფერი, არაფერი მსგავსი!

### სიღნაღი

1. . . .

იციან თვითონ
სიღნაღლებმა სიღნაღის ფასი —
ბებერ გალავნით,
ლურჯი ზეცით, ოქტომბრის ქარვით...
„არ მინახავსო, —
ეს თქვა ფრანგმა, — რაიმე მსგავსი“
შეწუხებულმა
ალტაცების აქამდე მალვით.

ხოლო კახელმა —
ყოველის მხრით კაცურმა კაცმა —
გახარებულმა
რუსის, ფრანგის, ზანგის სტუმრობით,
სახელდახელოდ
დევის სისხლის ინება დასხმა,
გავრცელებულით
გვიპასუხა ხალხში ხუმრობით:

„ვისაც სიღნაღის
კაი ფასში გაყიდვა უნდა,
სანამ დაწერდეს
გარიგება-სყიდვისას უსტარს,
აიყვანოსო
ნუკრიანში მუშტარი უნდა, —
ნუკრიანიდან
დაანახოს სიღნაღი მუშტარს...“

ჩვენც სწორედ ეგრე
დაგყურებდით, შენგნით დამწვრები,
ნუკრიანიდან —
შენ ბეჭდისთვლად მოჩანდი ქვემოთ...
გამსყიდველს შენსას
თავში ქვა და ცხელი ნაცრები!
შენ — დინჯა იყავ,
დინჯა იყავ, სიღნაღო ჩემო!

2.

მინდოდა: ერთხელ, ოქტომბრის თვეში
მანდ, სასტუმროში დამედო ბინა —
არცვის ვწვევოდი „ზაოდში“, რთველში,
არცვის ვცნობოდი, რა ვარ და ვინა.

სამაჭრე ბოთლით მევლო ბაზარში
(შავი — მაჭარი და თეთრი — მინა!),
ლექსი მომსვლოდა — ფოთლის ხანძარში
სასტუმროსაკენ მომავალს შინა;

დედასპური და ნიგვზის ჩურჩხელი,
ზღმარტლი, ჩამიჩი და ნივრის კბილა
და სამშობლოზე ფიქრის მფურჩქვნელი
ოქროს ჯაგანი დამეწყო წინა;

შენთვის მეცქირა, შენთვის მეძგერა,
მეკითხოს: „სად ვარ!“ შენ გეთქვას: „შინა!“
და ტკბილ კახეთზე ლექსი მეწერა, —
მაშინ გცნობოდი, რა ვარ და ვინა!

3. . . .

რამ გამახსენა ეს სიღნაღი ყვავილნაირი
აქ ამ აფხაზეთს,
საქართველოს
მეორე ბოლოს?!
იმან, ძმაო, რომ გახსენება არის ჰაერი,
პოეტი (თუ გყავს!)
არ სჭირდება
ნაირნაირი —
პოეტი სუნთქავს
და სამშობლოს ჰაერით ცხოვრობს.

◆◆◆

აღარც ბრძოლა, აღარც ქროლა,
აღარც შეძახება მწადის —
თვალი ესიყვარულება
წვეროკინას ჭადრის...

მზე მოსტოპავს ცისფერ ტატნობს,
კაცი გაღმა-ვენახს ხარდნის —
როგორც უნდა, ისე ხარდნოს,
მე — სიჩუმე მწადის!

აღარც დევის ქალი ცოლად,
აღარც სკიპტრა ზღვიდან ზღვამდის!
ხელმწიფობა კი არა და,
აღარც — რუსთველობა მწადის!

მზე ამოდის და მზე ჩადის,
ვნატრობ, ძველებურად მწვავდეს...
თვალი ესიყვარულება
წვეროკინას ჭადრის.

◆◆◆

მთიდან დაბრუნდი მძიმე ჩემოდნით,
ჩვენ ყველა ხილი ჩამოგითვალეთ,
შენ ჩაგეცინა: „აქეთ შემოდით!
ნახეთ, ზემოთით რა მოგიტანეთ!“

შენ გაგვიცრუე ჯალაბს იმედი,
შენ გაგვაცურე ჩემოდნით მძიმით
და შმაშურობდა წყნარად სიმინდი
და დიდხანს, დიდხანს არჩევდი სიმინდს.

არა საღერღად, არა საფქვავად,
არა წისქვილის დასაბრუნებლად,
არამედ — გრძელი ზამთრის საკლავად,
დასაკიდებლად
და საყურებლად!

### დავით კლდიაშვილი

გაშლის ქართველი
მამა-პაპათ ძვირფას სურათებს
და საუკუნეს
მეცხრამეტეს მიაყურადებს...

„ბრძენი ილია!“
„გმირი ვაჟა!“ „ცეცხლი აკაკი!“
ვიცით ცხოვრების
დიდებულის მათის ავ-კარგი;

ვიცით, რას იქმდა
უკვდავების ღირსი სამება,
ბარათაშვილის
მარტოსულის ვიცით წამება,

კი, ყველა ვიცით —
არდათმობის, თმობის, მიყოლის,
ორბელიანის
ლენერლობაც ვიცით გრიგოლის,

მაგრამ ამ მკაცრმა,
თვალჭრილამ და მიმინოს მსგავსმა,
სერვანტესივით
გამხდარმა და გამხმარმა კაცმა,

ვინ, ვინ უმადლის,
ანუ, ვკითხო, ვინ მეტყვის ახლა,
სიცოცხლის რისკით
სხვაზე მეტი კაცურად რაც ჰქნა?!

შეფს „ჩერნომორსკი
ვესტნიკისას“, რედაქტორს შავბნელს,
ჩვენს ქართველ ხალხზე
დიდმპყრობლურად აუგის მჯლაბნელს,

ვინმე პალმს გვარად,
მიაფერთხა ცხვირ-პირში ზიზღით
ხელთათმანი და
გასწორება მოსთხოვა სისხლით...

მაგრამ ამ კაცმა,
ვინც დაგვბლაჯნა ბარბაროს ხალხად:
ნუ იტყვით, თურმე,
მიცვალებულს ჩვენ ცუდად ვმარხავთ, —

არა საჩქაროდ,
წესისამებრ ძვირფასის მათის,
არამედ ვუხდით
პარაკლისებს, მივაგებთ პატივს, —

კი, კი! ამ ჩვარმა,
რა მიადგნენ გმირი რაინდის
სეკუნდანტები —
კლდიაშვილის, დიდი დავითის —

შეშინდა, დაფრთხა,
არ ინდომა შებრძოლებოდა
და, რაკი წამხდარს
კავკასს აღარ ედგომებოდა,

მიხიკ-მოხიკა
ხურდა-ბურდა, დაზოგა ტყავი
და, ლაფდასხმული,
ოდესაში ამოყო თავი...

ხოლო ვინ იყო
კაცი იგი, ვისი დამარხვაც
დიდის პატივით —
არ მოსწონდა ჩვენს მტერს ხმამაღლა?!

გამოსათხოვრის
ნაცვლად ერზე პასკვილს სტამბავდა!
ვის აგინებდა?!
აბდაუბდას თახსირს ლამბავდა?!

კაცს — ფილასოფოსს,
კაცს ზეგარდმო ნიჭით ხვავრიელს,
მას მამას წმიდას,
ეპისკოპოსს, მამაც გაბრიელს,

ვისი სახელიც
რუსეთს იქით, ბრიტანეთს ჟღერდა,
დობროლიუბოვი
მორიდებით ვის წიგნზეც წერდა,

ვის ნეშტს ილიამ
მოწიწებით თაყვანი ჰკადრა
და ვისაც სიტყვა
ერის მამის დაადგა ნათლად...

რა აწუხებდა,
გულს რა სჩხვლეტდა რედაქტორს შავბნელს!!
რა არ მოსწონდა,
მეფის სატრაპს, დამსმენს და მჯლაბნელს.

სიცოცხლე ერის!
კი, დღესავით არის ნათელი
და, სხვა თუ მიხვდა,
მიმხვდარია ამას ქართველი!

გაშლის პოეტი
მამა-პაპათ ძვირფას სურათებს
და ქარაშოტებს
იმპერიულს მიაყურადებს.

და არსს ბრძოლისას
მშობელს თვისას ხალხს დაანახებს
და გამოარჩევს
დიდთა შორის კაცს არანაკლებს.

„აგერა — კაცი!“ —
იტყვის იგი და ხელს მიაშვერს
სერვანტესს ჩვენსას,
მამას ჩვენთვის, დავით კლდიაშვილს.

და დასძენს წყნარად:
„ლხინად უჩნდათ მსგავსნი თამაშნი —
უხორცოსაებრ
იყვნენ რომმე კაცნი მამაცნი!“



# კულტურული საუნჯის სადარაჯოზე

*სიმონ კინწურაშვილი*

მცხეთის ჯვრის ტაძრის გუმბათის სიმაღლეზე, ხის ხარაჩოებზე, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვის მთავარ სამმართველოსთან არსებული სამეცნიერო მეთოდური საბჭოს გამსვლელი სხდომა მიმდინარეობდა. ადგილზე წყდებოდა გუმბათისა და მისი ყელის გამაგრების მეთოდური ხასიათის საკითხი. საბჭოს წევრთა შორის ერთი ქალიც იყო — რუსუდან გვერდწითელი. იგი დაკვირვებით ადევნებდა თვალს, გულდასმით უსმენდა ახსნას, მსჯელობას. ძუნწად, მაგრამ ზუსტად აკეთებდა დასკვნას. იგრძნობოდა, რომ ეს იყო მისთვის ჩვეული, სისხლხორცეული გარემო.

მეორე დღეს რუსუდან გვერდწითელს 70 წელი შეუსრულდა. ამ წლებიდან 48 წელიწადი დარაჯად უდგას იგი ქართულ ხუროთმოძღვრულ ძეგლებს.

ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდში, საქართველოს ინდუსტრიული, ახლა პოლიტექნიკური ინსტიტუტის არქიტექტურულ სპეციალობაზე სწავლისას, გამოიკვეთა მისი მომავალი მოღვაწეობის ინტერესთა არეალი — ძველი ქართული ხუროთმოძღვრება.

ძეგლის აზომვისა და მეცნიერული ფიქსაციის ზედმიწევნითი ცოდნა ხელოვნების ისტორიის დარგში ნაყოფიერი მუშაობის აუცილებელი წინაპირობაა. სწორედ ამით დაიწყო რ. გვერდწითელმა და თავიდანვე, ჯერ უფროს კოლეგებთან ერთად, შემდეგ დამოუკიდებლად ძალზე ბევრს მიაღწია. მარტო სამამულო ომის მძიმე წლებში მან შესძლო მესხეთ-ჯავახეთის ოცზე მეტი საკულტო ძეგლი და რამდენიმე საცხოვრებელი სახლი აეზომა. რად ღირს თუნდაც ვარძიის სამონასტრო კომპლექსის აზომვაში მონაწილეობა (კონსტანტინე მელითაურთან, ციალა გაბაშვილთან, თინათინ ქარუმიძესთან, მოგვიანებით ნიკო ჩუბინიშვილთან, გივი გაფრინდაშვილთან და სხვებთან ერთად).

უნდა აღინიშნოს, რომ რუსუდან გვერდწითელი ეკუთვნის საქართველოს კულტურის მოღვაწეთა იმ არცთუ მრავალრიცხოვან ჯგუფს, რომელმაც იტვირთა მეტად ძნელი მისია — ჩვენი ძეგლების მოვლა-პატრონობის საქმის პრაქტიკული მხარის გაძღოლა. რა დასამალია, და ეს ზოგჯერ კეთდებოდა უსახსრობის პირობებში, ხშირად სათანადო მხარდაჭერის გარეშეც კი.

1950 წელს დაარსდა ძეგლთა დაცვის სპეციალური სამეცნიერო საწარმოო სახელოსნო, სადაც რუსუდან გვერდწითელმა, უფროს არქიტექტორად დაიწყო მუშაობა და დღესაც, უკვე რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი, ხანდაზმული, თმაშევერცხლილი, ოდნავ წელში მოხრილიც კი, იგი კვლავ განაგრძობს ნაყოფიერ შემოქმედებით მოღვაწეობას, როგორც სამეცნიერო-კვლევითი საპროექტო განყოფილების გამგე.

სადაცაა შესრულდება 30 წელი, რაც რუსუდან გვერდწითელი ეწევა არა მარტო ძეგლების აზომვა-ფიქსაციას, არამედ მათ მეცნიერულ აღდგენა-კონსერვაციასაც. აქ შეუძლებელია ჩამოვთვალოთ რამდენიმე ათეული ძეგლი, რომლებიც მან აზომა, მეცნიერულად შეისწავლა, რესტავრაციის პროექტი შეუდგინა და შემდეგ მათს ნატურაში განხორციელებასაც უხელმძღვანელა. მრავლისმთქმელია გეოგრაფიაც კი ამ ძეგლებისა — აღმოსავლეთი თუ დასავლეთი, მთა თუ სამხრეთი მხარე, დედაქალაქი საქართველოსი — ყველგან დგას რუსუდან გვერდწითელის მიერ ჟამთა სიავეს გადარჩენილი, განახლებული საკულტო თუ საერო ნაგებობები — ვარძიის სამრეკლო, ანჩისხატის ეკლესია და სამრეკლო, როსტომ მეფის აბანო, ბოლნისის სიონი, გორის ციხე, გერგეთის სამება, ხვილიშა, წეროვანი... რამდენი ჩამოვთვალო! ყველგან მისვლა ხომ აუცილებელია სრული უგზოობის პირობებშიც კი. რამდენიმე დღე თუ კვირა იქ უნდა იცხოვრო, მერე თბილისში სუფთად გამოხაზო, დაადგინო, რას შეიძლება ახლო ხელი და რას — არა, მერე ისევ რამდენჯერმე ადგილზე დააზუსტო. ამის შემდეგღა იწყება ფიქრი და მუშაობა პროექტზე. და ისევ: ცხოვრება ძეგლთან მისი გახსნის, გამაგრების, კონსერვაციის თუ რესტავრაციის დროს.

საქმის სიყვარულით, დაძაბული შრომით მიაღწია რუსუდან გვერდწითელმა ასე ბევრს. მაღალი პროფესიონალიზმის დაღი ახლავს მის ნამოღვაწარს. ძეგლების აღდგენის ან გამაგრების დროს არ არსებობს ერთი რომელიმე შემუშავებული რეცეპტი, მეთოდი. კონკრეტული პირობებიდან გამომდინარე, ძეგლი თვით კარნახობს მკურნალობისა თუ მხატვრული სახის დადგენის მეთოდს.

მოვიყვან რამდენიმე მაგალითს რუსუდან გვერდწითელის მიერ ამა თუ იმ ძეგლის აღდგენა-კონსერვაციისათვის მომარჯვებული მეთოდის საილუსტრაციოდ.

ბოლნისის სიონზე (V ს. ბოლო) აღდგენითი სამუშაოების დროს მან საშური სიფრთხილე გამოიჩინა — ჩრდილოეთის მინაშენი მთლიანად არ აღადგინა, ვინაიდან ამისათვის არ იყო შემორჩენილი საკმარისი საბუთები. რესტავრატორმა მხოლოდ მიანიშნა თაღედის რიტმი (არსებულ ბაზისებზე შემდგარი ლითონის ვიწრო სვეტებით) და ერთქანობიანი გადახურვის დონე.

სამაგიეროდ თბილისის ანჩისხატის ეკლესიაზე (VI ს. დასაწყისი) გაბედულად მოხსნა XIX ს. მხატვრულად და ისტორიულად უმნიშვნელო ცრუ გუმბათი და სამრეკლო. ძეგლმა დაახლოებით მიიღო ის სახე, რომელიც მას XVII ს. რემონტის შემდეგ ჰქონდა. ამასთან მკაფიოდ გამოიკვეთა უძველესი ნაწილებიც.

ძალზე საინტერესოა რუსუდან გვერდწითელის და თამარ ნემსაძის მიერ ახლახან დამთავრებული კუმურდოს ტაძრის (964 წ., ხუროთმოძღვარი საკოცარი) აღდგენა-კონსერვაციის პროექტი. აქაც მრავალი წლის დაკვირვების, მეცნიერული შესწავლის, ანალოგების მომარჯვების, რესტავრაციის ძველი პროექტის (ავტორი ნ. სევეროვი) ანალიზის საფუძველზე მიღებულია რამდენიმე საყურადღებო ახლებური დასკვნა.

რუსუდან გვერდწითელის პრაქტიკული მოღვაწეობა განმტკიცებულია ღრმა თეორიული ცოდნით. ამის დასტურია მისი სამეცნიერო შრომები, სადაც მოცემულია არა მარტო მშრალი აღწერა, ფიქსაცია ამა თუ იმ ძეგლზე ჩატარებული მუშაობისა, არამედ გაანალიზებულია არქიტექტურულ-არქეოლოგიური, ძეგლების შესწავლის დროს მომარჯვებული მეთოდიკა. ამ მხრივ ყურადსაღებია მისი შრომები თიანეთის სიონის აღდგენა-გამაგრების პროექტის თუ ატენის სიონის გუმბათის სახურავის პირვანდელი ფორმის დადგენის თაობაზე და სხვა. საინტერესოდ არის დაწერილი მისი წიგნი „მცხეთა“. რუსუდან გვერდწითელის სტატიები ძეგლთა დაცვის საკითხებზე ჟურნალ-გაზეთებში, „ძეგლის მეგობარში“ ყოველთვის მძაფრად პოლემიკურია და უკომპრომისო.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მისი ღვაწლი ახალგაზრდა რესტავრატორთა კადრების აღზრდის საქმეში. სახელოსნოში მოსული ახალგაზრდა არქიტექტორი, რომელსაც სურს თავისი შემოქმედებითი ცხოვრება მოახმაროს ძეგლთა დაცვის საშვილიშვილო, მეტად ძნელ საქმეს, რუსუდან გვერდწითელის სახით შესანიშნავ მაგალითს ხედავს თავმდაბლობისა, უანგარო შრომისა და კეთილშობილური ადამიანური თვისებებისა; იგი ხვდება ხელმძღვანელს, რომელიც თავდაუზოგავად, დედაშვილურად უზიარებს ცოდნას და გამოცდილებას.

რუსუდან გვერდწითელი წევრია ყველა რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური საბჭოსი, სადაც ძეგლების დაცვის საკითხები წყდება. იგი ერთ-ერთი დამაარსებელი და გამგეობის უცვლელი წევრია საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოებისა. მას წვლილი მიუძღვის თბილისში ქართული ხალხური არქიტექტურისა და ყოფის ღია ცის ქვეშ მუზეუმის შექმნასა და ექსპონატებით შევსებაში.

კიდევ დიდხანს გვენახოს რუსუდან გვერდწითელი ქართულ ძეგლებზე აღმართულ ხარაჩოებზე, აღდგენა-კონსერვაციის პროექტებზე თავდახრილი, გარშემორტყმული მოწაფეებით და თანამოაზრეებით, ახალგაზრდული გატაცებით და ბრძნული პრინციპულობით რომ უვლის და პატრონობს ეროვნულ საუნჯეს.

## უცხოეთის ლიტერატურული ცხოვრება

# რამდენიმე სიტყვა ლიოსას რომანზე

მარიო ვარგას ლიოსას ახალმა რომანმა „დეიდა ხულია და მჯღაბნელი“ ლათინური ამერიკის ლიტერატურულ კრიტიკოსთა ცხოველი გამოხმაურება გამოიწვია. მაგრამ, ლათინური ამერიკის პრესის ცნობით, ამჯერად რეცენზენტთა გამოხმაურებანი არ ყოფილა ისე ერთნაირი, როგორც ამ ნიჭიერი პერუელი მწერლის ადრინდელი ნაწარმოებების გამოქვეყნებისას.

კრიტიკული სტატიების ავტორები აღიარებენ მთლიანად რომანის მაღალ მხატვრულ ღირსებებს, მაგრამ ვერ თანხმდებიან უმთავრესად რომანში გამოყვანილ პერსონაჟთა შეფასებაში, უფრო ზუსტად — თითოეული მათგანის ხვედრითი წონის დადგენაში. მაშ ასე, მაინც ვინ არის მთავარი გმირი ამ მეტად თავისებურად აგებული ნაწარმოებისა, რომელშიაც ორივე ძირითადი კომპოზიციური ხაზი არა იმდენად ავსებს, რამდენადაც ერთგვარად ეცილება ერთმანეთს? ხოლო აქედან გამომდინარე — როგორია ვარგას ლიოსას რომანის სოციალური, საზოგადოებრივი მნიშვნელობა?

ამ სტრიქონების ავტორმა ამ რომანის შესახებ მეტად წინააღმდეგობრივი შეხედულებანი მოისმინა ამას წინათ ვენესუელას დედაქალაქში ჩატარებულ იბეროამერიკული ლიტერატურის XIX საერთაშორისო კონგრესზე (სხვათა შორის, კონგრესზე წარმოდგენილ მოხსენებათა შორის ფიგურირებდა ბელგიელი ლათინოამერიკანისტის მოხსენება — „დეიდა ხულია და მჯღაბნელი“: ახალი რუმბი მარიო ვარგას ლიოსას შემოქმედებაში“). ჩვენს დისკუსიებში კონგრესის ზოგიერთი მონაწილე ამჯობინებდა წინა პლანზე წამოეწია თვრამეტი წლის მარიტოს სიყვარული ოცდათორმეტი წლის ქალისადმი, რომელიც ამავე დროს ნათესავადაც ერგებოდა, ხოლო „მჯღაბნელი“ პედრო კამაჩოს სახე მარტოოდენ იუმორისტულ შუქზე აღიქმებოდა.

შესაძლებელია ამგვარმა მსჯელობებმა შეუწყო ხელი იმას, რომ პრესაში გამოვიდა ლათინური ამერიკის ლიტერატურათმცოდნეობის ორი „მეტრი“, რამდენადაც მხცოვანნი, იმდენადვე კონსერვატორულნიც, დასავლეთის პროპაგანდის კლიშირებული კატეგორიებით რომ აზროვნებენ, მაგრამ ჯერ კიდევ რომ შეუნარჩუნებიათ ყოფილი აკადემიური პრესტიჟი. ასე, მაგალითად, კოლუმბიელმა ესეისტმა ჰერმან არსინიეგასმა თვით თავისი სტატიის სათაურითაც — „ვარგას ლიოსა, სენიორა და ოჯახი“, რომელიც გამოქვეყნდა გაზეთში „ტიემპო“ (ბოგოტა), წინასწარვე შემოსაზღვრა თემა. აშკარად გადაწყვიტა მიეჩქმალა რომანის სოციალური ჟღერადობა, ყველაფერი დაეყვანა ნაწარმოების ზერელე, ვიწრო, ცალმხრივ და სადავო გაგებამდე. ხოლო პერუელმა ლიტერატურათმცოდნემ ლუის ალბერტო სანჩესმა გაზეთში „პრენსა“ (ლიმა) დაბეჭდა სტატია „კვლავ იმავე საკითხზე“, სადაც შესაფერისად მიიჩნია გამოეთქვა წუხილი იმის გამო, თითქოს „ვარგასმა გაჰყიდა საკუთარი თავის ყალბი სახება“, და თან განაცხადა: „უნდა ვაღიაროთ, რომ მეტისმეტად გადაჭარბებულად მოგვეჩვენა პედრო კამაჩოს რადიოთეატრალური ნაწარმოებები, ვერ გაუმართლა დასასრულმაც, რამდენადაც ავტორი მკითხველს არ ანებებს რაიმე გადახვევას ან სულის მოთქმას, ჰხოცავს ყველას და ყველაფერს... საფრთხე არ ელის მარტოოდენ დეიდა ხულიასადმი ვარგიტასის სიყვარულს, რომელიც სულ უფრო და უფრო მატულობს და წარმტაცი ხდება...“

ცხადია, თავისთავად მარიტოსა და ხულიას სიყვარულის ისტორიას, როგორადაც არ უნდა ვუყურებდეთ ამ საქმეს, გარკვეული უფლება აქვს არსებობისა — არა მარტოოდენ ლიტერატურული არსებობისაც კი.

აქვე ვიტყვი, მარიო ვარგას ლიოსამ თავისი ახალი ნაწარმოები ყოვლად მიუკიბავ-მოუკიბავად უძღვნა „ხულია ურკიდა ილიანესს, რომლისაგანაც ესოდენ დავალებულნი ვართ მე და ეს რომანი“.

რომანის ავტორმა უკვე დაადასტურა, რომ ბევრი რამ ამ ნაწარმოებში (ისევე, როგორც ვარგას ლიოსას სხვა ნაწარმოებებში) ავტობიოგრაფიული ხასიათისაა. რეალური ცხოვრებიდან შევიდნენ რომანში დონია ხულია — მწერლის პირველი ცოლი, და დონია პატრისია, რომელიც, ვიდრე ნაწარმოების ბოლო თავში გამოჩნდებოდა, მანამდე ეწვია, სხვათა შორის, თავის ქმართან — მარიო ვარგას ლიოსასთან ერთად, „ინოსტრანნაია ლიტერატურას“ რედაქციას.

ცხოვრების გზაზე, მომავალი მწერლის დადგინებაზე ყმაწვილური უშუალობით გვიამბობს — არა, ეს სრულიადაც არ გახლავთ შორეული წარსულის გახსენება! მარიტო ვარგიტასი, სტუდენტური დოკუმენტებით ხორხე მარიო პედრო ვარგას ლიოსა რომ ჰქვია.

ცხოვრებიდან აღებული ნამდვილი გვარები და სიტუაციები, რომანის ავტორის აზრით, ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ „დეიდა ხულია და მჯღაბნელი“ ავტობიოგრაფიაა. უფრო მეტიც, აქ ავტობიოგრაფიულ ელემენტებს არ აკისრია პირველხარისხოვანი როლის თამაში. არ შეიძლება არ შევნიშნოთ, რომ დეიდა ხულიაც, სიცოცხლით აღსავსე, ენერგიული და მომხიბვლელი ქალი, არც ერთხელ არ გამოდის რომანში მარტოკა, დამოუკიდებლად, — და, არსებითად, მას მარტოოდენ ყმაწვილი მარიოს სიტყვებით ვიცნობთ. ფონად გამოყვანილია პერუს დედაქალაქის 50-იანი წლების საზოგადოებაც, რეალისტურად რომ დაგვიხატა მწერალმა და პროვინციული ყოფის სცენებიც.

ჯერ კიდევ რომანის გამოქვეყნებამდე, ჩვენთან საუბარში, მარიო ვარგას ლიოსამ ხაზი გაუსვა იმას, რომ რომანის ძირითადი ხაზი იყო და არის „მჯღაბნელის“ პედრო კამაჩოს ამბავი, პედრო კამაჩოს პრობლემა. და პედრო კამაჩოში მწერალი ხედავს არა ვინმე გრაფომანის („გრაფოგრაფის“, როგორც უწოდა სალვადორ ელისონდომ თავის გმირს, რომლის სიტყვებიც აიღო ვარგას ლიოსამ რომანის ეპიგრაფად) ბედს, არამედ დასავლეთის კულტურული პანორამის მ ო ვ ლ ე ნ ა ს — სერიოზულ, ნეგატიურ, დამღუპველ მოვლენას.

როგორ შეიქმნა პედრო კამაჩოს სახე?

ამ რამდენიმე წლის წინათ, ჩვენი პირველი შეხვედრისას, მარიო ვარგას ლიოსამ მითხრა, რომ იგი, როგორც წესი, „არ თხზავს“ თავისი ნაწარმოებების პერსონაჟებს. პროტოტიპი „მჯღაბნელისა“, რომელსაც მან პედრო კამაჩო დაარქვა, მწერალმა გაიცნო სიჭაბუკის წლებში, როდესაც თვითონ რადიოში მუშაობდა, და მრავალჯერ შეხვედრია მას („ის ხომ პირველი ადამიანი იყო, რომელსაც მწერალი ერქვა და რომელიც საკუთარი თვალით ვნახე“, — იხსენებდა ვარგას ლიოსა). ადვილი წარმოსადგენია, რა უდიდეს შთაბეჭდილებას ახდენდა ირგვლივ მყოფებზე „რადიოთეატრის მეფე“, ნაკლებწიგნიერი, მაგრამ დაუოკებელი ფანტაზიის პატრონი, განსაცვიფრებელი, რობოტივით შეუჩერებელი მუშაობა რომ შეეძლო! იგი მთელი დღის განმავლობაში რამდენიმე რადიოპიესას ან რადიორომანს თხზავდა „ფართო საზოგადოების მოხმარებისათვის“, და ბოლოს თავისსავე ნაწარმოებებში იბნეოდა, ერეოდა მოქმედ პირთა სახელები, ხასიათები, მათ თავს გადამხდარი ამბები, — მის სნეულ წარმოსახვაში მკვდრები, მან თვითონვე რომ დახოცა წინა პიესაში, მოულოდნელად ცოცხლები აღმოჩნდებოდნენ და ა. შ. სავსებით გასაგებია, რომ პედრო კამაჩოს სახე არის მხატვრული, კრებითი სახე, რამდენადმე გროტესკულად რომ გვეჩვენება და მაინც არცთუ ძალიან შორსაა ნამდვილისაგან (როგორც მითხრეს, პროტოტიპი ცოცხალია, გამდიდრდა, სატელევიზიო სადგურის პატრონი გახლავთ, ოღონდ პერუში აღარ მოღვაწეობს).

„პედრო კამაჩოს ისტორია მეტად კურიოზულია, მაგრამ შეიძლება ირეალურ რაღაცად, მეტისმეტად აბსურდულად მიიჩნიონ, — ამბობდა ვარგას ლიოსა, — და იქნებ არც დაეჯერებინათ ჩემთვის. მე კი მინდოდა ეს ამბავი გარკვეულად დამსგავსებოდა სიმართლეს, რათა მკითხველს არ შეჰქმნოდა შეგრძნება, თითქოს მართლა შენათხზია. თხრობა უნდა აიგოს რეალურ, კონკრეტულ, ობიექტურ ნიადაგზე. ვიფიქრე, რომ რეალურობის საფუძვლად შეიძლებოდა გამომდგომოდა ჩემი პირადი ბიოგრაფიის ფრაგმენტები, ელემენტები — კონტრასტის ეფექტისათვის. რომანი, რაკილა ცხოვრების შემოქმედებითი ვააზრების ჟანრია, ზოგჯერ აღიქმება როგორც ფიქცია, ლიტერატურული წარმოსახვის აღმაფრენა. ამრიგად, იმ დასკვნამდე მივედი, რომ რომანი გამომივა, თუ ერთმანეთს შევუნაცვლებ „მჯღაბნელის“ ისტორიას, აგრეთვე მის თხზულებათა ნიმუშებს რომანი სტრუქტურაში ჩართული ნოველების სახით, და ავტობიოგრაფიულ ეპიზოდებს. „მჯღაბნელის“ ისტორია რომ არ ყოფილიყო, აღარც რომანი იქნებოდა. ხოლო რომანმა თავისთავად დამარწმუნა, თუ რაოდენ ძნელია განსაზღვრო ფანტასტიკურისა და ფაქტიურის საზღვრები“.

მარიო ვარგას ლიოსას შემოქმედებით სამყაროში „დეიდა ხულია და მჯღაბნელი“ უდავოდ ნოვატორული ნაწარმოებია: იგი გამოირჩევა თავისი სტილით, სიუჟეტური აღნაგობით, დასასრულ, სოციალური მიმართულებით. ლათინური ამერიკის პროზაში ჯერ არ ყოფილა ასეთი ღრმა დაპირისპირება ორი პოლარული, ანტითეზური თვალსაზრისისა ლიტერატურულ შემოქმედებაზე (დამწყები მწერლის ოცნებანი — „მჯღაბნელის“ მოღვაწეობა).

„მე არ მომწონს უკვე გაკვლეული გზით სიარული, — გვიზიარებდა თავის აზრს რომანის ავტორი. — ყოველი წიგნი ჩემთვის მუდამ თავგადასავალია, რომელიც მიტაცებს როგორც ცდა იმისა, რომ მოვიმოქმედო რაღაც ახალი: არა მხოლოდ მოვყვე ახალი ამბავი, არამედ ვცადო ახლებურადაც მოვყვე. სხვა მწერალს ნამდვილად უფრო ეადვილება — დაწერს ერთ რომანს და მერე ამა თუ იმ მხრივ გაიმეორებს იმავ ფორმულებს, იმავ აგებულებას. მე ეს ყველაზე ნაკლებ მაინტერესებს. ასეა „დეიდა ხულიას და მჯღაბნელშიც...“

პედრო კამაჩოს დაუცხრომელი მოღვაწეობის აღწერით მწერალმა შექმნა ბრწყინვალე სატირა; მახვილი ამ სატირისა მიმართულია იმ „ფაბრიკანტების“ წინააღმდეგ, რომლებიც ქმნიან სუბლიტერატურას, ინფრაკულტურას, „მასობრივ კულტურას“, ლათინური ამერიკის ქვეყნების რადიო-და სატელევიზიო პროგრამებს, წიგნის ბაზარი და კინოეკრანები რომ წალეკა. ამ ქვეყნების ეროვნული, ნამდვილი კულტურისადმი მტრული ძალების სულიერი ექსპანსიის გეგმებში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება „მასობრივი გამოყეყეჩების“, ადამიანთა შეგნების მოწამვლის საშუალებებს.

ოსტატურად, გონებამახვილურად, ფაქიზი ირონიიდან გესლიან სარკაზმზე გადასვლით ვარგას ლიოსა ქმნის იმ სენსაციური და საეჭვო ლიტერატურული ღირებულების რადიოდრამების, ტელენოველების მოდური „სერიალების“ პაროდიებს, რომლებიც დამზადებულია „made in USA“-ს ხატად და მსგავსად.

თითქმის ორი ათეული წლის წინათ, ცნობილი პერუელი ისტორიკოსი და ფილოსოფოსი აუგუსტო სალასარ ბონდი, ახასიათებდა რა პერუს კულტურულ ცხოვრებას ორმოცდაათიან წლებში — გენერალ ოდრიას დიქტატურის პერიოდში, როდესაც ხდება ვარგას ლიოსას რომანის მოქმედება, — გულისტკივილით წერდა მექსიკურ ჟურნალში „კუადერნოს ამერიკანოს“: „რაღა თქმა უნდა, ბევრი რამის თქმა შეიძლება ხელოვნებისა და ლიტერატურის პროგრესის შესახებ პერუში, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ლაპარაკია ძალზე განსაზღვრულ მოვლენაზე — იმაზე, რომ უმცირესობა ქმნის უმცირესობისათვის, მაშინ როდესაც დიდ უმრავლესობას ხელი არ მიუწვდება განათლების მიღებაზე. ფართო მასები მოექცნენ კომერციული ხასიათის უცხოური პროპაგანდის გავლენის ქვეშ, მერკანტილური კულტურის სუპერპროდუქციის მსხვერპლნი შეიქნენ. ასე ხდება პროცესი ხალხის შეგნების დეფორმაციისა, სულ უფრო და უფრო რომ მწვავდება და ქვეყნის სულ უფრო და უფრო მზარდი გაუპიროვნება-გაუსახურება მოსდევს... ესაა შედეგი ეკონომიური დამოუკიდებლობის დაკარგვისა. ხელფეხშებოჭილ, თავისი სოციალური და ეკონომიური სისტემით უცხოელთა ხელში ჩაგდებულ ერს სთავაზობენ კულტურას, რომელიც მას ხრწნის, ადუნებს, უცხო იდეალებსა და ინტერესებს უმორჩილებს“. სალასარ ბონდის სიტყვებით, „ძნელი ასახსნელი არ არის, რატომ ვერ გამოიღო საკუთარი, განუმეორებელი ნაყოფი პერუს ლიტერატურამ და ხელოვნებამ“. მარიო ვარგას ლიოსა, რომელსაც თავის დროზე სან-მარკოსის უნივერსიტეტში მოუსმენია პროფესორ აუგუსტო სალასარ ბონდის ლექციები, ამას გვაჩვენებს თავის ახალ რომანში.

კარაკასში მიცემულ ერთ-ერთ ამასწინანდელ ინტერვიუში მარიო ვარგას ლიოსამ შეშფოთებით თქვა: „მე დარწმუნებული ვარ, რომ რადიო და ტელეხედვა, ისევე როგორც საზოგადოებრივი კომუნიკაციის სხვა თანამედროვე საშუალებები, განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე ხელსაწყოებია კულტურის განვითარებისათვის.

მაგრამ სინამდვილეში, საუბედუროდ, ბევრ ქვეყანაში, მათ შორის ჩემს ქვეყანაშიც, კომერციული, ცენზურული თუ პოლიტიკური ინტერესების გამო, ამ საშუალებებმა ყველაზე ცუდი სახე მიიღო, დაშორება-განრიდების, ადამიანთა სულზე უცხო შემოქმედების ორგანოებად იქცა“.

რომანში „დეიდა ხულია და მჯღაბნელი“ ყველა და ყოველნაირმა პედრო კამაჩოებმა, მათმა სულისჩამდგმელებმა და იდეოლოგებმა თავიანთი თავი დაინახეს უმოწყალო სარკეში.

**იური დაშკევიჩი**

„ილ“, № 12, 1979.

# ორი პრემიერა





ამ დღეებში თბილისის შ. რუსთაველისა და ა. გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო თეატრებმა წარმოადგინეს ახალი სპექტაკლები.

შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურმა თეატრმა გვიჩვენა თამაზ ჭილაძის პიესა „როლი დამწყები მსახიობი გოგონასათვის“, ხოლო ა. გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო თეატრმა ლ. უსტინოვის პიესა „ქალაქი უსიყვარულოდ“.

**სურათებზე:** სცენა სპექტაკლიდან „როლი დამწყები მსახიობი გოგონასათვის“, ანო — თ. დოლიძე, უჩა — გ. საღარაძე; სცენა სპექტაკლიდან „ქალაქი უსიყვარულოდ“, გუშაგი — ვ. სმოტროვი, მერცხალი — ს. კონიუშენკო, ანა — ა. პონომარიოვა.

ფოტოები მ. კვირიკაშვილისა.

## წარსულიდან

# ვინ იყო ვახტანგ მეექვსის თანაშემწე?

*ოთარ ქასრაძე*

1712 წელს ვახტანგ VI სტამბაში გამოცემულ შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანს“ განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორიაში. იგი წარმოადგენს სტამბურად გამოცემულ საერო შინაარსის პირველ ქართულ მხატვრულ ნაწარმოებს.

ქართული კულტურის ისტორიაში ამ მნიშვნელოვანი გამოცემის დროს ვახტანგ VI თანაშემწე-რედაქტორად ჰყოლია ვინმე მიქელი, რაც დამოწმებულია კიდეც თავფურცელის მომდევნო გვერდზე: „გაიმართა ხელითა ხელმწიფის კარის დეკანოზის შვილის მიქელისათა“.

სიტყვა „გამართვას“ კ. კეკელიძე შემდეგნაირად განმარტავს: „გამართვა აღნიშნავს იმასაც, რასაც ჩვენ ახლა „რედაქტირებას“ ვეძახით, აქედან — „გამმართველი“ ნიშნავს არა მარტო იმას, ვინც ბეჭდვითს შეცდომებს ასწორებს, კორექტორს, — იმისათვის XVIII საუკუნეში სხვა სახელწოდებაც იხმარება „პრობის მმართველი“, — არამედ, უფრო ნიშანდობლივად, რედაქტორსაც“.

ახლა შევეცადოთ, გავარკვიოთ 1712 წელს დაბეჭდილი „ვეფხისტყაოსნის“ რედაქტორის „ჯერხანობით უცნობი ვილაც მიქელის“ ვინაობა.

როგორც ზემოთ დამოწმებული პოემის თავფურცლის მომდევნო გვერდიდან ვგებულობთ, 1712 წელს დაბეჭდილი „ვეფხისტყაოსნის“ „გამმართველი“ ხელმწიფის კარის დეკანოზის შვილი მიქელი ყოფილა. საისტორიო წყაროების მიხედვით, ვახტანგის სამეფო კარზე დეკანოზად „საღმრთო და საერო მეცნიერებებში დიდგანსწავლულის“, ბაქარ, გიორგი და ვახუშტი ბაგრატიონების აღმზრდელ-მასწავლებლის გიორგი გარსევანიშვილის ძმა, ცნობილი მწიგნობარი იესე მოღვაწეობდა. 1717-1718 წლებში ვახტანგის მიერ იესესათვის ნაბოძებ წყალობის სიგელში ვკითხულობთ: ჩვენ „მეფეთ მეფემან, პატრონმან ვახტანგ... შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ ჩვენსა ერთგულსა და მრავალგვარათ ნამსახურსა ყმათა გარსევანიშვილთა, ჩვენი კარის ოქონის ხატის დეკანოზს იესესა და ძმასა შენსა, ჩვენი შვილების დამზრდელს და საღმრთო საეროს მეცნიერების მასწავლებელსა და კვალად სახელმწიფოთა ჩვენთაგან გადავარდნილობასა შინა თანა ნაახლსა და წესისაებრ თავ-განწირვით ნამსახურსა გიორგის... მოგვიდექით კარსა დარბაზისა ჩვენისა და წყალობას გვიაჯენით. ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი. მოკითხული გიყავით სადარბაზოს ერთობის რიგის წიგნისა შინა და შენი სიგელებიც გინახეთ. არავინ ჩნდა და ყოფილ იყო ქართველ მეფის ჯვარის მტვირთველი თვინიერ თქვენისა და კვლავ განგიახლეთ ესე ძველთაგანი“.

რაკი XVIII საუკუნის 15-20-იან წლებში ვახტანგის სამეფო კარზე დეკანოზად იესე გარსევანიშვილს უმსახურია, გამოდის, რომ 1712 წელს დაბეჭდილ „ვეფხისტყაოსანში“ პოემის „გამმართველად“ მოხსენებული „ხელმწიფის კარის დეკანოზის შვილი“ ვახტანგის 1717-1718 წლების წყალობის სიგელში დასახელებული სამეფო კარის დეკანოზის იესეს ძე მიქელ გარსევანიშვილი უნდა ყოფილიყო. ჩვენს ამ ვარაუდს თითქოს ეჭვის ქვეშ აყენებს და აბათილებს კიდეც 1723 წელს ვახუშტის მიერ იმავე იესე გარსევანიშვილისათვის მიცემული სიგელი. მასში ნათქვამია: „ესე წყალობის წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ ჩვენ ბატონიშვილმა ვახუშტიმ, ძმამან ჩვენმან იოვანემ, თქვენ, ჩვენთა ერთგულთა, წესისაებრ თავდადებით მრავალგვარად ნამსახურსა კარისა და ოქონის ხატის დეკანოზს გარსევანიშვილს იესეს და ძმასა შენსა, სიჩჩოთავე ჩვენთა გამზრდელთა და, რაც ძალა ედვა სამღთო საერომდე მასწავლებელს გიორგის, შვილთა თქვენთა ნიკოლოზს, გრიგოლს, გარსევანს და ანდრიას... შეგიწყალეთ და გიბოძეთ ჩვენის სიმრთელის გზითა და ალალის საქონლით ნასყიდი მცირე სოფელი ჯავახის — შვილებისაგან მოსყიდული ნადარბაზევი“.

ვახუშტის ამ სიგელში ჩამოთვლილ იესე და გიორგი გარსევანიშვილების ვაჟებს შორის მიქელი არ იხსენიება. მაგრამ ეს ვახტანგ VI სამეფო კარის დეკანოზის იესესა და 1712 წელს დაბეჭდილი „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის „გამმართველის“ მიქელის მამა-შვილობას სრულიადაც არ უნდა გამორიცხავდეს. ასევე არ იხსენიება მიქელი 1718 წლის შემდეგ თბილისის სტამბაში დაბეჭდილი წიგნების საგამომცემლო მონაცემებსა და იმდროინდელ საარქივო-საისტორიო საბუთებში. ეს კი მიგვანიშნებს, რომ ზემოთ დამოწმებული ვახუშტისეული სიგელის დაწერისას მიქელი ცოცხალი აღარ იყო.

ისე, რომ ჩვენი ვარაუდი 1712 წელს დაბეჭდილი „ვეფხისტყაოსნის“ რედაქტორ-გამომცემლის, ხელმწიფის კარის დეკანოზის შვილის მიქელის ვინაობაზე, უსაფუძვლო არ უნდა იყოს.

ძველი გადმოცემის თანახმად გარსევანიშვილები წარმოშობით ბერძნები ყოფილან. 1080-1084 წლებში, როცა მეფე ბაგრატ მეოთხეს ბიზანტიის იმპერატორის რომან არგიროსის ძმისწული, ვასილ არგიროსის ქალიშვილი ელენე შეურთავს ცოლად, ამ უკანასკნელს ვახტანგ VI სამეფო კარის დეკანოზის იესე გარსევანიშვილის წინაპარი ჩამოჰყოლია საქართველოში. ელენეს ბიზანტიიდან სასწაულმოქმედი ოქონის „ჯვარცმის“ ხატი და სხვა უამრავი სიმდიდრე ჩამოუტანია მზითვად. ამ ხატისათვის ბაგრატს გორიდან 39 კილომეტრის დაშორებით, მდინარე ფციის ხეობაში მონასტერი აუგია და სასწაულმოქმედი რელიქვია იქ დაუსვენებია. „რუისის დასავლეთ არს დვინის-წყალი... დვინის — წყლის დასავლით არს ფცის-წყალი და დის ლოხინისაპერანგას მთიდგან, მოდის სამხრით და მიერთვის მტკვარს ჩრდილოდამ. ავლევს ზეით, ფცის წყლის აღმოსავლით, არის ოქონას მონასტერი დიდი, გუმბათიანი“, — გადმოგვცემს ვახუშტი ბაგრატიონი.

ბაგრატ მეოთხეს ახლადაგებულ ოქონის მონასტერში დეკანოზად დედოფალ ელენეს მიერ ბიზანტიიდან ჩამოყვანილი გარსევანიშვილების წინაპარი გაუმწესებია. ამის შემდეგ ხელმწიფის კარის ოქონის ხატის დეკანოზობა და მეფის ჯვარისმტვირთველის თანამდებობა მემკვიდრეობითი წესის თანახმად ტრადიციულად გარსევანიშვილების ხელში გადასულა.

1590 წელს ქართლის მეფის სვიმონ I-სა და იმერეთის გამგებლის როსტომს შორის ოფიშკვეთში გამართულ ბრძოლაში მეფის ჯვარისმტვირთველი გარსევანიშვილი მოუკლავთ, ოქონის ხატი მოწინააღმდეგეს ტყვედ ჩაუგდია და ოდიშში გადაუნახავს.

1661 წელს ვახტანგ მეხუთეს დასავლეთ საქართველოში გაულაშქრებია იმერეთის მეფის, ალექსანდრე III-ეს ქვრივის, დარეჯანის მიერ თვალებდათხრილი უფლისწულ ბაგრატის წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულების ჩასაშლელად, დაუპყრია იმერეთი, ოდიში, გურია და 70 წლის მანძილზე ტყვექმნილი ოქონის ხატი კვლავ ქართლში ჩამოუტანია. ტრადიციული წესისათვის არც ვახტანგ V-ეს უღალატია, უკან დაბრუნებული ხატის დეკანოზად მას კვლავ გარსევანიშვილი იესეს მამა, ანუ 1712 წელს დაბეჭდილი „ვეფხისტყაოსნის“ რედაქტორის მიქელის პაპა დაუნიშნავს, ხოლო, ვახტანგ მეექვსეს ეს საეკლესიო თანამდებობა თავისი შვილების აღმზრდელ-მასწავლებლის გიორგი გარსევანიშვილის ძმის იესესათვის ჩაუბარებია.

თავად ხატის სახელწოდება — ოქონა ბერძნული წარმოშობისაა, იგი ბიზანტიაში ამ საეკლესიო განძისათვის თავის დროზე განკუთვნილი ადგილ-სამყოფელის გეოგრაფიული სახელიდან არის ნაწარმოები. ოქონის ხატით წინ მიუძღოდა სამღვდელობა საომრად ანდა სანადიროდ მიმავალ ქართველ მეფეებს, მასზე ლოცულობდნენ მებრძოლნი ლაშქრობის დაწყებისას. „ოდეს ქართველთ მეფე ლაშქრადა ანდა ნადირობას წაბრძანდეს, ოქონის ხატი წინ უნდა უძღოდეს“, — ნათქვამია ვახტანგ VI-ის მიერ იესე გარსევანიშვილისათვის ნაბოძებ სიგელში.

1724 წელს ოქონის ხატი ვახტანგ VI-ეს რუსეთში გაუტანია და იქ დაკარგულა.

1712 წელს დაბეჭდილი „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის რედაქტორის მიქელის მამად ჩვენს მიერ მიჩნეული ვახტანგ VI-ის სამეფო კარის დეკანოზი იესე გარსევანიშვილი თავის დროზე ავტორიტეტულ და გავლენიან პიროვნებად ყოფილა ცნობილი. ძველ საბუთებში იგი მთელი რიგი სადავო საკითხების გამრიგედ, მოწმედ, სხვადასხვა სახის დოკუმენტების დამწერ-შემდგენლად იხსენიება. მის მიერ არის დაწერილი 1684 წ. 1 ნოემბერს ორბელ ორბელიშვილის ნასყიდობის ხელწერილი, 1721 წ. 1 თებერვლით დათარიღებული ზ. რატიშვილსა და ა. ჯავახიშვილს შორის დადებული „მამულის ნასყიდობის გარიგება“, მოწმეთაა მოხსენებული უამრავ სიგელ-გუჯრებში.

დიდი პატივითა და რიდით უსარგებლია იესეს ძმას, ვახტანგ VI-ის შვილების უშუალო აღმზრდელ-მასწავლებელს გიორგი გარსევანიშვილსაც. იგი თავის უფროს ძმასთან იესესთან ერთად თან წაჰყოლია ვახტანგს რუსეთში და იქ გარდაცვლილა. დაკრძალულია დონის მონასტრის ეზოში.

დღემდე შემონახული საისტორიო წყაროების მიხედვით დადებითად ხასიათდება აგრეთვე 1712 წელს დაბეჭდილი „ვეფხისტყაოსნის“ რედაქტორ-გამომცემელი მიქელ იესეს ძე გარსევანიშვილი. ეტყობა იგი თავის დროზე განათლებული კაცისა და კარგი კალიგრაფი-გადამწერის სახელით ყოფილა ცნობილი. მას გადაუწუსხავს „დაუჯდომელი“, „ანჩისხატის ჟამგულანი“, „ერისთავის დაუჯდომელი“ და სხვა. უნდა ვიფიქროთ, რომ იგი ვახტანგის მიერ შექმნილი „სწავლულ კაცთა კომისიის“ წევრი იქნებოდა.

ჩანს, მიქელი, როგორც იმდროისათვის საკმაოდ განათლებულ-განსწავლული და თვალსაჩინო კალიგრაფ-გადამწერი ვახტანგ VI-ეს სტამბაში მიუწვევია სამუშაოდ. აქ მას რუმინეთიდან ჩამოყვანილი უნგრელი ოსტატის მ. იშტვანოვიჩის დახმარებით შეუსწავლია წიგნების ბეჭდვა-გამოცემა და, როცა ეს უკანასკნელი საქართველოდან ჰოლანდიაში გამგზავრებულა, თავის მიერ მოწყობილ-გამართული თბილისის სტამბა მიქელისათვის ჩაუბარებია. 1712 წელს „ვეფხისტყაოსნის“ გარდა მისი რედაქტორობით იბეჭდება „დავითნი“, ხოლო 1718 წელს — „კურთხევანი“. ამის შემდეგ გამოსული წიგნების საგამომცემლო მონაცემებში მისი სახელი უკვე აღარ იხსენიება. როგორც აღვნიშნეთ, ეს მიქელის იმ ახლო ხანებში გარდაცვალებით უნდა აიხსნას.

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა, გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქცია თანაგრძნობას უცხადებენ რევაზ დანელიას შვილის პატარა

**ნინოს**

გარდაცვალების გამო.

გამოდის პარასკეობით

(ფასი 10 კაპ.)

**ლიტერატურული საქართველო,**

რედაქციის მისამართი, 380007, თბილისი, მაჩაბლის ქ. № 13.

ტელეფონები: რედაქტორის — 99-84-04, პასუხისმგებელი მდივნის — 99-91-89, განყოფილებების — 99-67-10.

რედაქტორის მაგიერ თამაზ ბიბილური.

სარედაქციო კოლეგია: თ. ბექიშვილი, ნ. გურაბანიძე, ნ. გურეშიძე, ი. თარბა, რ. ინანიშვილი, ა. ქალანდაძე, ი. ნონეშვილი, ჯ. ლვინჯილია, ო. ჩხეიძე, ს. ცაიშვილი, ვ. ჭელიძე, თ. ჭილაძე, ფ. ხალვაში.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. ИНДЕКС 66436 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17. დაბეჭდილია ოფსეტური წესით ახალ საგაზეთო კორპუსში. ხოშარაულის 29. უე 08350